F 137/1918

გზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ დამატება № 52.

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

50 სხდომა.

სამშაბათი, ოქტომბრის 22, 1918 წ. ტფილისი. სასახლე.

F 137/59

თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თამჯდომარის ამხანაგი **ექვთიმე თაყაიშვილი.**

პრეზიდიუმში არიან: მდივანი **დავით ონიაშვილი.** მისი ამხანაგი **იოსებ აბაკელია.**

კრება იხსნება ნაშუადღევის 1 საათსა და 50 წუთზე.

თავმჯდომარე. საქართველოს პარლამენტის კრება გახსნილი გახლავთ. მდივანი მოგახსენებთ წეს-რიგს.

შემოსულ საკანონმდებლო წინადადების სია.

მდივანი (კითხულობს) შემოსულ საკანონმდებელ წინადადებების სია:

1. რადიკალ დემოკრატიულ ფრაქციის კანონ-პროექტი რეგლამენტის 71 მუხლის შეცვლის შესახებ

გადაეცეს სარეგლამენტო კომისიას.

2. პარლამენტის წევრის **დავით ჩიქოვანის** საკანონმდებლო წინადადება—ადგილობრივ საქმეთა საპარლამენტო კომისიის დაარსების შესახებ. გადაეცეს ადგილობრივ მმართველობის და თვით მმართველობის და იურიდიულ კომისიათ.

3. პარლამემტის წევრთა ერთი ჯგუფის წინადადება რეგლამენტის შევსებისა საპარლამენტო კითხვის აღძვრის უფლების შესახებ.

გადაეცეს სარეგლამენტო კომისიას.

4. პარლამენტის წევრის **გრიგოლ ვეშაპელის** საკანონმდებლო წინადადება, რომ საჩხერეში ცეცხლისაგან დაზარალებულ მცხოვრებთა და დაწესებულებათა დასახმარებლად სახელმწიფო ხაზინიდან 100,000 მან. გადაეცეს შორაპნის სამაზრო საერობო გამგეობას.

გადაეცეს ადგილობრივ მმართველობის და თვითმართველობის და ფინანსთ კომისიათ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ტფილისი

ამიერკავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს მონაწერი საქართველოში მოსახლე რუსთა 2 წარმომადგენლის არჩევის შესახებ საქართველოს პარლამენტის წევრად.

მდივანი კითხულობს ამიერ კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოს მონაწერს—საქართველოში მოსახლე რუსთა ორი წარმომადგენელის

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ

არჩევნების შესახებ საქართველოს პარლამენტსს წევრად პარლამენტი ადგენს გადაეცეს ეს საკითხი სამანდატო კომისიას.

საქართველოს ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მონაწერი პარლამენტის წევრების არჩევის შესახებ.

მდივანი კისრულობს ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მონაწერს, რომ საქართველოში მოსახლე ებრაელებისაგან საქართველოს პარლამენტში არჩეულნი არიან კეკეტელაშვილი, შტრეიხერი დაბაზაზი.

პარლამენტი ადგენს—გადაეცეს სამანდატო კომისიას.

პარლამენტის წევრის ფაჩუაშვილის განცხადება.

მოსმენილ იქნა პარლამენტის წევრის ფაჩუაშვილის განცხადება, რომელშიაც ის უარს აცხადებს პარლამენტის წევრობაზე.

განცხადება იქნა მიღებული ცნობად.

პარლამენტის წევრის ვასილ წერეთლის განცხადება.

მდივანი კითხულობს პარლამენტის წევრის ვასილ წერეთლის (დე.დ.) განცხადებას შესახებ იმისა, რომ ის არის ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის წევრი.

პარლამენტი ცნობად იღებს ამ განცხადებას.

დღიური წესრიგი

მდივანი (კითხულობს) 1. საბოლოო ტექსტი წიგნი საცავ—სამკითხველების გახსნის კანონისა.

მომხსენებელია პარლამეტის წევრი შალვა ამირეჯიბი.

2. საბოლოო ტექსტი. შავი ქვის გადასაზიდ ტარიფის გადიდების კანონისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი შალვა ამირეჯიბი.

3. კანონ-პროექტი მოკლე ვადიან სესხის შესახებ.

მოხსენებულია პარლამენტის წევრი იასონ დოროქიფანიძე.

4. კანონ-პროექტი. ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ შტატების შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი იასონ დოროქიფანიძე.

5. კანონ-პროექტი. შავის ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი იოსებ გობეჩია.

6. დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა და ხარჯთ—აღრიცხვისა.

მოხსენებულია პარლამენტის წევრი ალექსანდრე დოლთათიძე.

7. კანონ-პროექტი. საბაჟო დაწესებულებებში საკანცელიარო გადასახადის შესახებ.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი დავით შარაშიძე.

8. კანონპროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთ—აღრიცხვისა. მომხსენებელია პარლამენტის წევრი **დავით ონიაშვილი.**

9. კანონ-პროექტი სახელმწიფო ქალალდებისმ ბეჭდავ ეკსპედიციის ხარჯთ აღრიცხვისა.

მომხსენებელია პარლამენტის წევრი **დავით ონიაშვილის**.

10. დამოუკიღებელ ეროვნულ ღემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა მთავრობისი და სახელმწიფო კონტროლიორისადმი. 30 მილ. სალიკვიდაციო ფონდის შესეხებ.

11. პარლამენტის წევრის ალექსანდრე ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა ტფილისში უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულ რაზმის არსებობის შესახებ.

თავმჯდომარე. ამტკიცებთ ბატონებო წესრიგს თუ არა?

სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ლომთათიძეს.

ალექს. ლომთათიძე. (ს. დ.). მოქალაქენო!

ღღიუ წესრიგში არის საკითხი შესახებ დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონ-პროექტისა და ხარჯ-აღრიცხვისა. ვინაიდან ეს საკითხი ღიდი საკითხი არის თავის თავად და შეიძლება ერთ კრებაზედ ვერც ამოვწუროთ, მე წინადადება შემომაქვს ღღეს ამ საკითხს ნუ განიხილავთ, გადავდოთ პარასკევისთვის იმ პირობით, რომ პარასკევის კრება მოხმარდეს სავსებით ამ კანონ პროექტს. ეს ერთი.

მეორე.—ღღიურ წესრიგში გახლავთ კანონ-პროექტი შესახებ შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა. ჩვენმა ფრაქციამ ვერ მოასწრო ამ საკითხის საბოლოო განხილვა ვინაიდან ნაწილი მასალებისა ვერ იყო ისე წარმოდგენილი, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მისი სარგებლობა, ღა ამიტომ წინადადება შემოგვაქვს, რომ ეს საკითხი ღღეს არ იყოს განხილული და გადაიღოს პარასკებისთვის. ეს ორი წინადადება გვაქვს შემოტანილი.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული. ღღიურ წესრიგში ორი ნომერი გახლავთ, რომელიც ჩემს უწყებას, საფინანსო უწყებას, შეეხება: მეოთხე ნომერი და მეშვიდე ნომერი. ვინაიდგან მე 7-ე ნომერი რომელიც ეხება საფინანსო ცენტრალურ შტატებს, ძალიან საჩქაროდ მიგვაჩნია მე ვითხოვდი, რომ ეს მე 7-ღე ნომერი გადაყენებული იქნას მე 4-ედ და მე 4-ე ნომერი იყოს გადაყენებული მე 7-ღე. ეს კითხვა ეხება ჩვენ სამინისტროს ისე რომ არავის ინტერესს მე ამითი არ შევბღალავ. რადგანაც წესრიგს ბოლომდისინ ვერ ჩავდივართ ხოლმე საჭირო კი არის, რომ შტატები იყოს განხილული ღღეს, იმიტომ ვითხოვ, რომ მე 4-ე ნომერი იყოს გადიყენებული მერვედ, მე 7-ე მე 4-ედ.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ვეშაპელს.

გრ. ვეშაპელი. (ღემ. ერ. ღემ.) იმ კომისიათ, რომელთაც გადაეცემა წინადადება საჩხერეში ცეცხლის დაზარალებულთა დახმარების შესახებ, მე წინადადებას ვიძლევი, რომ ვადა დანიშნოს საფინანსო კომისიის მხრიდან. მე მგონი სამი ღღე ასეთ საკითხვისთვის არ იქნება უხერხული თვით საფინანსო კომისიისთვის, როგორც ზოგიერთ პირებისაგან ვიცი, საფინანსო კომისია ამ სამ ღღეში შესძლებს ამ საკითხის განხილვას.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ. გაბაშვილს.

რევაზ გაბაშვილი. (ღამ. ერ. ღემ. ბატონებო, მე მოგახსენებთ შემდეგს. შავი ზღვის განაპირა რკინის გზის საკითხი ღიდი ხანია რაც აღძრულია. კითხვა უკვე იყო გარჩეული გზათა კომისიის მიე-, სამი

თვის წინათ. მერე გადავიდა საფინანსო საბიუჯეტო კომისიაში. ეს იქ გაჩერდა ორ თვეზე მეტს.

მე მგონია, რომ ასეთ მსვლელობა კანონებისა, ასეთი ხანგრძლივი გარჩევა ძალიან დააზიანებს საზოგადოდ ჩვენ კანონდებლობის მუშაობას. და ჩემის აზრით, ამას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენმა პარლამენტმა, რომ შემდეგში მაინც ასეთ მდგომარეობაში არ ჩავარდნენ ისეთი კანონ-პროექტები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოსთვის. მეორეს მხრივ, მათი ყოველ-დღიური ასეთი გაჩერება იმას ნიშნავს, რომ ჩვენ დღეს მეტ ხარჯს ვიღებთ, რომელიც ასე თუ ისე უნაყოფოდ იკარგება. ამისთვის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის განცხადების ფრაქციის თანახმად, რომ სხვა-და სხვა მიზეზების გამო, ეს კანონ-პროექტი დღეს გაადიდოს, მე წინააღმდეგი არ ვიქნები, რადგანაც ალბად ჯეროვანი საბუთები აქვთ ამისთვის. მაგრამ მოვითხოვ, რომ კანონ-პროექტი უსათუოდ პირველ რიგში იყოს შემდეგ კრებაზედ დასმული.

თავმჯდომარე. ჯერ უყრი კენჭს ფინანსთა მინისტრის განცხადებას. ის თხოულობს მე 7-ე მუხლი დავსვათ მე 4-ე მუხლად. მე4—მე7 დ. ვინ არის წინააღმდეგი ამ წინადადებისა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მაშასადამე წინადადება მიღებული არის. მე 7-ე მუხლი დაისმება მე-4ე მუხლის მაგივრად, და მე-4ე მე-7ე მაგივრად.

შემდეგი წინადადება გახლავთ ბ, ლომთათიძესი, რომელიც თხოულობს, უსათუოდ დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა შესახებ გადიდოს შემდეგ სხდომისთვის. ვინ არის მომხრე? გთხოვთ ასწიოთ ხელი. წინააღმდეგ არვინ გახლავთ. მაშასადამე ეს კანონ-პროექტი გადიდება შემდეგ კრებისთვის, და მოისხნება დღიურ წესრიგიდან.

შემდეგ არის წინადადება, რომ კანონ-პროექტი შავი-ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების შესახებ—მოისხნას დღეს და გადაიდოს შემდეგ სხდომისთვის, მხოლოდ ეს იყოს პირველად დასმული შემდეგ სხდომაზე.

ვინ არის მომხრე? გთხოვთ ასწიეთ ხელი. მაშასადამე მოსხნილია ის საკითხი და გადადებული შემდეგ კრებისთვის, მხოლოდ შემდეგ კრებაზე პირველად იქნება დასმული.

შემდეგ გახლავთ წინადადება ვეშაპელისა, რომ იმ კომი სიათ, რომელთაც გადაეცემათ საკანონმდებლო წინადადება საჩხერეში ცეცხლით დაზარალებულთა დახმარების შესახებ დაენიშნოთ ვადა სამი დღე, და შემდეგ წარმოადგინონ თავისი დასკვნა, ამის შესახებ სურს ვასმეს ლაპარაკი თუ არა? მსურველი არ არის. (მიმართავს არსენიძეს. თქვენ გნებავთ?) სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს არსენიძეს.

რაჟდენ არსენიძე. (სდ.) მე არა ვარ წინააღმდეგი, რომ ვადა დაენიშნოს, მაგრამ სამი დღე ძალიან მცირე ვადაა საფინანსო კომისიას, მე ვიცი, აუარებელი კითხვები აქვს განსახილველ, და ჩვენ კი ყოველ დღე უმატებთ ახლებს. იმაზე მეტს, როგორც მუშაობს კომისია, ვერ იმუშავებს, თუ და საქმე გაუბევრეთ რეგულიარული მუშაობა შესწყდება და ახალსაც ვერ გააკეთებს. ამიტომ მე წინადადებას ვიძლევი, ერთი კვირის ვადა მაინც მიეცეს საფინანსო კომისიას.

ვეშაპელი (ადგილიდან) თანახმა ვარ.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე, რომ სამი დღის ვადა დაენიშნოს კომისიას, ასწიეთ ხელი. მაშასადამე სამი დღის ვადა ეძლევა კომი-

სიას. (**ხმები**: არა, ერთი კვირა) ვინ არის მომხრე ერთი კვირის ვადა დაენიშნოს კომისიას? მაშასადამე დაენიშნება ერთი კვირის ვადა. ეხლა დანარჩენ წესრიგს ამტკიცებთ თუ არა, სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ახმეტელს.

ალექსანდრე ახმეტელი. (რად. დემ.) ბატონებო, მე წინადადებას ვიძლევი, რომ ჩემ მიერ შემოტანილი შეკითხვა იცნოთ სასწრაფოდ, და დღეს მაინც თუ ვერ განიხილავთ, ვინაიდან შესაძლებელია, რომ მასალა იყოს ბევრი, მე ვითხოვ, რომ შეკითხვა დაისვას აუცილებლივ პარასკევს.

თავმჯდომარე. ვის სურს ამის შესახებ სიტყვა? წინადადება არი შემოტანილი, რომ ბ. ახმეტელის შეეკითვა პარლამენტმა იცნო სასწრაფოდ, ვინაიდან სიტყვა არავის სურს, კენჭს ეყრი. (მიმართავს ლომთათიძეს) უკაცრავათ თქვენ გნებავთ სიტყვა? ბრძანეთ.

ალექსანდრე ლომთათიძე. (ს. დემ.) მე მგონი, რომ პარლამენტმა ეხლა გადასწყვიტა პარასკევის კრება მოანდომოს დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების განხილვას. ახალ წინადადებით, რომ ეხლა, შემოდიან პარასკევს პირველ რიგში ეს შეკითხვა დაისვასო,—მე მგონი, თუ პირველ რიგში დაისმის ეს შეკითხვა, მაშინ მიღებული წინადადება უარყოფილი იქნება.

თავმჯდომარე. უკაცრავად, შავი ზღვის რკინის გზის კანონ-პროექტის შესახებ ბრძანეთ.

ალექსანდრე ლომთათიძე. რაც შეეხება შავი ზღვის სანაპირო რკინის გზას, იგი იმდენად დიდი საკითხი არ არის, ბევრი ერთი საათი მოანდომოს პარლამენტმა. დანარჩენი დრო კი აუცილებლად უნდა მოხმარდეს დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონ-პროექტს, ეს საკითხი მოგეხსენებათ დიდია, ამ საკითხს დიდი ხანია იცნობთ და მე მგონი, რომ სადავო არ არის, რომ იგი უნდა იყოს საჩქაროდ განხილული. იმიტომ წინადადება შემომაქვს—ეს შეკითხვა თავის რიგზე იყოს განხილული, როცა, ჩავალთ ამ შეკითხვაზე მაშინ მოვისმენთ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა? არავის. კენჭს ეყრი ამ ორ წინადადებას. ერთი წინადადება გახლავთ, რომ ეს შეკითხვა დასმული იყოს პირველ რიგში, მეორე კი-ჩვეულებრივ, როდესაც მივალთ ამ შეკითხვაზე, მაშინ განვიხილოთ. ვინ არის მომხრე, რომ შეკითხვა პირველად იყოს დასმული მომავალ კრებაზე? გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე ეს შეკითხვა თავის წესით წავა. როდესაც დრო მოვა მაშინ იქნება განხილული. დანარჩენ წესრიგს ამტკიცებთ თუ არა (ხმები: დიახ.) მაშ წესრიგი დამტკიცებული გახლავთ.

სიტყვა ეკუთვნის ბ. ამირეჯიბს.

საბოლო ტექსტი კანონისა ახალ—წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნის შესახებ.

შალვა ამირეჯიბი. (კითხულობს) კანონი ახალი წიგნთსაცავ-სამკითხველოების გახსნისა.

მუხლი პირველი (კითხულობს).

1. დაარსდეს რესპუბლიკის ყოველ სოფლის სკოლასთან წიგნთსაცავ-წამკითხველო.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამი იქნ (კითხულობს).

1. დაარსებულ იქნას რესპუბლიკის ყველა სოფლის სკოლასთან წიგნთსაცავ-სამკითხველოები.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნახმარი იყო მრავლობითი რიცხვი, ჩვენ ვიხმარეთ მხოლობითი.

მეორე მუხლი (კითხულობს).

2. იმ სოფლის საზოგადოებაში, სადაც სკოლები ჯერ კიდევ არ არსებობს, წიგნთსაცავ-სამკითხველობი გახსნილ იქნას სოფლის სამმართველოებთან.

ამ მუხლშიც არსებითი ცვლილება არ არის. მრავლობით რიცხვის მაგიერ აქაც ვიხმარეთ მხოლობითი რიცხვი მთელი მუხლი ასეა მიღებული:

2. იმ სოფლის საზოგადოებაში, სადაც სკოლა ჯერ კიდევ არ არსებობს, წიგნთსაცავ-სამკითხველოები გახსნილ იქნეს სოფლის სამმართველოსთან.

მესამე მუხლი (კითხულობს).

3. სოფლის სკოლებთან დაარსებული წიგნთსაცავ-სამკითხველოების გამგებლობა დროებით დაევალოს სკოლების ზედამხედველებს, ხოლო სოფლის სამმართველობთან—კომისრებს.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამი იყო **დაეკისროს** ჩვენ ეს სიტყვა შევცვალოთ სიტყვით **დაევალოს**.

მე ოთხე მუხლი (კითხულობს).

4., დღიდან საერობო თვითმართველობის შემოღებისა წიგნთსაცავ-სამკითხველოები გადაეცეს საერობო დაწესებულებებს და ამ უკანასკნელთ დაეკისროთ მათი პატრონება.

აქაც სტილისტური შესწორებანი არის შეტანილი. მთელი მუხლი ასეა მიღებული (კითხულობს).

4. დღიდან საერობო თვითმართველობის შემოღებისა წიგნთსაცავ-სამკითხველოები გადაეცეს საერობო დაწესებულებას და ამ უკანასკნელს დაევალოს მათი პატრონობა.

მეხუთე მუხლი (კითხულობს).

5., დაეთმოთ უფასოდ ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ თითო ცალი ერთი წლის ვადით დღიდან სამკითხველოს გახსნისა.

საერთოდ ამ კანონ-პროექტში სჭარბობს მრავლობითი რიცხვი. სარედაქციო კომისიამ მრავლობითი რიცხვი შესცვალა მხოლობით რიცხვად. მუხლი ასეა მიღებული.

5. დაეთმოს უფასოდ ყველა სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ თითო ცალი ერთი წლის ვადით დღიდან სამკითხველოს გახსნისა.

მუხლი მეექვსე (კითხულობს):

6. ამ მიზნით გაღებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინიდან ერთდროულად ასი ათასი მან. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში.

პარლამენტის მიერ მიღებულ ტექსტში ნათქვამი იყო გადადებულ იქნას. სარედაქციო კომისიამ შესცვალა სიტყვებით გადებულ იქნას.

მე.7-ე მუხლი უცვლელად არის მიღებული.

მერვე მუხლიც უცვლელად არის მიღებული.

თავმჯდომარე. ამტკიცებთ ამ შესწორებებს თუ არა? შესწორებები დამტკიცებულია. შემდეგი კანონ-პროექტი.

შალვა ამირეჯიბი (კითხულობს):

კანონ-პროექტი შავი ქვის გადასაზიდი ტარიფის გადიდებისაა. პირველი მუხლი (კითხულობს):

1. შავი ქვის ჭიათურიდან ფოთამდე არსებული გადასაზიდი ტარიფი ფუთზე, გადიდებულ იქნას 38,34 კაპეიკით და დაწესებულ იქნას 19,25 მაგიერ 57,6 კაპეიკი.

ამ მუხლში მხოლოდ წინადადება არის შეცვლილი. სიტყვები არის გადატანილი ერთ ადგილიდან მეორეზე.

მთელი მუხლი ასეა მიღებული:

1. ჭიათურიდან ფოთამდე შავიქვის გადასაზიდი ტარიფი თითო ფუთისა გადიდებულ იქნეს 38,34 კაპეიკით და დაწესდეს 19,26 კ. მაგიერ, 57,6 კაპეიკი.

მეორე მუხლი (კითხულობს):

2. ეს ტარიფი დაწესებულ იქნეს შავქვაზე განურჩევლად იმისა, რომელ სადგურიდანაც უნდა იქნეს გაგზავნილი ფოთში ჭიათურა-ფოთის რკინის გზით.

ამ მუხლში ისეთივე ხასიათის ცვლილებები შევიტანეთ, როგორც პირველ მუხლში: მხოლოდ მუხლები არის გადასხმული ერთი ადგილიდან მეორე ალაგას. მთელი მუხლი ასეა მიღებული.

2. ეს ტარიფი დაწესებულ იქნეს შავქვისათვის განურჩევლად იმისა, რომელი სადგურიდანაც იქნება გაგზავნილი ფოთში ჭიათურა-ფოთის რკინის გზით.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღდეგ ამ შესწორებისა? არავინ. შესწორებანი მიღებულია.

შემდეგი კანონ-პროექტი მოკლე ვადიან სესხის შესახებ. მომხსენებელი გახლავთ ბ. ლორთქიფანიძე.

მოკლე ვადიან სესხის კანონ-პროექტის მოხსნა.

იასონ ლორთქიფანიძე. (ნ.დ.) ბატონებო, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სახელით, მოგმართავთ თხოვნით, რომ ეს საკითხი დღეს ამორიცხული იყოს დღიურ წესრიგიდან. საქმე იმაში არის, ბატონებო, რომ როდესაც ბ. ნიკოლაძის წინადადებით ეს საკითხი ხელახლად იყო გადასინჯული, მაშინ გამოირკვა, რომ ამ საკითხს დიდი კავშირი აქვს ახალ ბონების გამოცემასთან. რადგანაც საფინანსო კომისიამ საჭიროდ დაინახა, რომ ჯერ ახალ ბონების საკითხის შესახებ გადაწყვეტილი იქნეს საქმე, და რადგანაც ეს საკითხი მეტად სერიოზული იყო, საფინანსო კომისიამ ვერ მოასწრო ამ სერიის გამოცემის შესახებ თავისი დასკვნა გამოეტანა. ამიტომ საფინანსო კომისია გთხოვთ, რომ მოკლე ვადით სესხის კანონ-პროექტი დღიურ წესრიგიდან გამორიცხულ იყოს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთნის ფინანსთა მინისტრს.

ფინანსთა მინისტრი გ. ჟურული. ბატონებო, მთავრობა სავსებით იცავს თავის პოზიციას, და ფიქრობს, რომ ამ მოკლე ვადიან სესხის გამოცემა საჭირო არის ჩვენთვის, მაგრამ ვინაიდგან პარლამენტის კომისია აღნიშნავს, რომ მან კვლავ უნდა განიხილოს ზოგიერთი მხარე ამ კითხვისა, ჩვენც ვეთანხმებით, რადგან სჯობია საფინანსო კომისიამ შვიდჯერ გაზომოს და ერთხელ მოსჭრას; ამიტომ მთავრობა წინააღმდეგი არ არის, რომ კვლავ დაუბრუნდეს კომისიას ეს საკითხი,

მხოლოდ მოვითხოვთ, რომ მალე, რაც შეიძლება—მალე ეს საკითხი გარჩეული იყოს და შეტანილი იყოს პარლამენტის განსახილავად.

თავმჯდომარე. ვინ არის მომხრე ამ წინადადებისა. წინადადება გახლავთ, რომ კანონ-პროექტი დაუბრუნდეს კომისიას, და ხელმეორედ იყოს შემოტანილი პარლამენტში. ვინ არის მომხრე? გთხოვთ ასწიოთ ხელი. მაშასადამე კანონ-პროექტი დაუბრუნდება კომისიას. ეხლა გადავდივართ კანონ-პროექტზე საფინანსო სამინისტრო ცენტრალურ შტატების შესახებ. მომხსენებელია ლორთქიფანიძე იასონ.

საფინანსო სამინინტროს ცენტრალურ შტატების კანონ-პროექტი.

იასონ ლორთქიფანიძე. ბატონებო, როდესაც საფინანსო კომიმისია სინჯავდა ჩვენს სხვა და სხვა სამინისტროების შტატებს, მას ქონდა ერთგვარი გეგმა, ერთგვარი ცნობები, რომელიც დატოვებული იყვნენ ძველი რეჟიმის დროი დან. ამიერ-კავკასიაში იყო ერთგვარი სხვა და სხვა უწყებები, რომლიდგანაც სხვა და სხვა ადგილობრივი დაწესებულებანი ღებულობდნენ, როგორც კანონებს, აგრეთვე ამ კანონების განმარტებებს და განკარგულებებს. მხოლოდ ერთად ერთი უწყება, საფინანსო; სავაჭრო და მრეწველობის უწყება იყო ამას მოკლებული; ამიტომ ამ შტატების დადგენის დროს, და საბიუჯეტო კომისიის მიერ გადასინჯვის დროს, ჩვენ ვერ ვიხელმძღვანელებდით იმ ფაქტებითა, იმ საბუთებით, რომლებიც ჩვენ გვქონდა სხვა შტატების შემუშავების დროს.

რასაკვირველია, ეს შტატები ბევრად შემცირებული არის. მაგრამ ამ ორგანოს შემადგენლობა შემცირებულია იმ ორგანოს მიხედვით, რომელიც არსებობდა რუსეთში. გამოცდილებამ, დაგვანახა, რომ ამ შტატების შემადგენლობის რიცხვი დიდია. ჩვენ მცირე ტერიტორიისთვის. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ შტატების რიცხვი არ არის დამყარებული ისეთ საბუთებზე, ისეთ ცნობებზე, რომელზედაც იყვნენ დამყარებული სხვა შტატები, და რომლებზედაც შემდეგშიაც იქნებიან დამყარებული. მოგეხსენებათ, სამოსწავლო უწყებაში იყო ეგრედ წოდებული მზრუნველი, რომელიც წარმოადგენდა ყველა სასწავლებლების ცენტრს. ცოტა რომ გავაფართოოთ ამ ცენტრის შტატები, ჩვენ მოგვეცემა სამინისტროს შტატები. საფინანსო-ვაჭრობა-მრეწველობის უწყებას კი არავითარი ამ გვარი ცენტრი არამც თუ მარტო საქართველოში, არამედ ამიერ-კავკასიაშიც კი არ ჰქონდა. აი, ამიტომ მოგახსენებთ, რომ ეს შტატები შედგენილია იმის-და მიხედვით, როგორც იყო რუსეთში შედგენილი სამინისტროს ცენტრალური ორგანო. სხვაფრივ აქ არავითარი გამონაკლისი არ არის ჯამაგირებიც დანიშნულია იმის-და მიხედვით თუ რა ეძლეოდათ სხვა უწყების განყოფილებების უფროსებსა და აგრეთვე დანარჩენ მოხელეებსა გარდა მინისტრის და მისი ამხანაგისა.

სამინისტროს შტატებში შედის შემდეგი განყოფილებანი: საბიუჯეტო და სახაზინო გონყოფილება, გადასახადების განყოფილება, საკრედიტო განყოფილება, საერთო განყოფილება, სავაჭრო-სამრეწველო განყოფილება და საერთო რეგისტრატიული. იგივე განყოფილებანი, როგორც იყო რუსეთის სამინისტროში.

თვით კანონ-პროექტი ამგვარი არის. (კითხულობს).

კანონ-პროექტი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატებისა.

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალ დაწესებულებათა შტატები.

2. გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატებისათვის 734400 მან.

შემდეგი განაწილებით: 1) მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის 327600 მან. 2) იურიდიული რჩევისათვის—7000 მან. 3) სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის კომისარისათვის 5950 მან. 4) სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილების კომისარისათვის 3150 მან 4) საკანცელარიო ხარჯებისათვის 14000 მან. 6) სასტამბო—10500 მან. 7) ბინისათვის 11200 მან. 8) გათბობა, განათება, და სხვა სამეურნეო ხარჯებისათვის 21000 მან. 9) ინვენტარის შესაძენად, 3500 მან 10) საგზაო ხარჯებისათვის 10500 მან. 11) მინისტრის განკარგულებაში მოულოდნელ ხარჯებისათვის 14000 მან.

აქვე გახლავთ შტატები.

თავმჯდომარე. თვით შტატების აკითხვას ინებებთ? (ხმები: დიახ! წაიკითხოთ!) გთხოვთ წაიკითხოთ მაშ შტატებიც.

იასონ ლორთქიფანიძე (კითხულობს).

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის—ცენტრალურ დაწესებულებათა შტატები.

მინისტრი—ერთი-წლიური ჯამაგირი—18000 მან.

მინისტრის ამხანაგი—ორი. წლიური ჯამაგირი—16200 მან.; ორივეს—32400 მან.

კანცელარიის დირექტორი—ერთი. წლიური ჯამაგირი—12000 მ.; 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ერგება 7000 მან.

ვიცე დირექტორი ორი. წლიურათ თვითეულს—10800 მან. ორივეს—21600 მან. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე—12600 მან.

მდივანი მინისტრისა—ერთი. წლიურად 7800 მან. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე—4550 მან.

საბიუჯეტო და სახაზინო განყოფილება.

განყოფილების უფროსი ერთი. წლიური ჯამაგირი—10200 მან. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე—5950 მან.

გამგენი მცირე განყოფილებისა ორი. წლიური ჯამაგირი—9000 მან. თვითეულს. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ორივეს—10500 მან.

ბულჰალტერი—ორი. წლიური ჯამაგირი თვითეულს—7800 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ორივეს—9100 მ.

ბუჰალტერის უფროსი თანაშემწენი შვიდი. წლიურად თვითეულს 6300 მ. წლის დამლევამდე ყველას—35795 მ.

ბულჰალტერის უმცროსი თანაშემწენი სამი. წლიურად თვითეულს 5700 მ. წლის დამლევამდე ყველას—9975 მ.

მანქანაზე გადამწერნი—ორი. წლიურად თვითეულს 4800, წლის დამლევამდე ორნივეს 5600 მ.

რეგისტრატორები ორი. წლიურად თვითეულს 4800 მ. წლის დამლევამდე ყველას 5600 მ.

გადასახადების განყოფილება.

განყოფილების უფროსი ერთი. წლიური ჯამაგირი 10200 მანეთი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 5950 მ.

გამგენი მცირე განყოფილებისა ორი. წლიურად 9000 მ. წლის ბოლომდე—10500 მ.

გამგეს თანაშემწენი სამი. წლიურად 7800 თვითეულს. წლის ბოლომდე ყველას 13650 მ. მოანგარიშენი ორი. წლიურად თვითეულს 5400 მ. წლის ბოლომდე ორივეს 6300 მ.

მანქანაზე გადამწერნი ორი. წლიური 4800 მ. წლის ბოლომდე ორივეს 5600 მ.

რეგისტრატორები ორი. წლიურად 4800 მ. წლის ბოლომდე ორივეს 4600 მ.

საკრედიტო განყოფილება.

უფროსი განყოფილებისა ერთი. წლიური ჯამაგირი 10200 მან. წლის ბოლომდე 1 ივლისიდან 5950 მ.

გამგენი მცირე განყოფილებისა ორი. წლიური 9000 მ. წლის ბოლომდე 10500 მ.

საქმის მწარმოებელნი—3. წლიური 9000 მ. თვითეულს, წლის დამლევამდე ყველას 10500 მ.

რეგისტრატორი ერთი. წლიური ჯამაგირი 4800 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 2800 მ.

მანქანაზე გადამწერი ერთი. წლიური ჯამაგირი 4800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 2800 მ.

საერთო განყოფილება.

უფროსი განყოფილებისა ერთი. წლიური ჯამაგირი 10200 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 5950 მ.

მისი თანაშემწე ერთი. წლიური ჯამაგირი 9000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 5250 მ.

საქმის მწარმოებელი ერთი. წლიური ჯამაგირი 6000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 3500 მ.

მისი თანაშემწე ერთი. წლიური ჯამაგირი 5400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 3150 მ.

რეგისტრატორები ორი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მან. ივლისიდან წლის დამლევამდე 5600 მ.

მანქანაზე გადამწერი ორი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 5600 მ.

სავაჭრო სამრეწველო განყოფილება.

უფროსი განყოფილებისა ერთი. წლიური ჯამაგირი 10200 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 5950 მ.

გამგენი მცირე განყოფილებისა სამი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 9000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 15750 მ.

ინჟენერები საგანგებო მონდობილობით ორი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 9000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 10500 მ.

საქმის მწარმოებელნი ორი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 7200 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 8400 მ.

თანაშემწენი ოთხი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 5400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 12600 მ.

გამგე სტატისტიკისა ერთი. წლიური ჯამაგირი 7200 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 4200 მ.

მისი თანაშეეწე ერთი. წლიური ჯამაგირი 5400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 3150 მ.

მანქანაზე გადამწერნი ორი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 5600 მ.

რეგისტრატორები სამი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 8400 მ.

საერთო რეგისტრატურა.

ექსპედიტორი ერთი. წლიური ჯამაგირი 5400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 3150 მ.

მისი თანაშემწენი ექვსი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 4800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 16800 მ.

კანცელარიის ქონების გამგე ერთი. წლიური ჯამაგირი 6000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 3500 მ.

მისი თანაშემწე ერთი. წლიური ჯამაგირი 4800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 2800 მ.

შიკრიკები ათი. წლიური ჯამაგირი თვითეულს 3600 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 21000 მ.

სულ 561600 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 327600 მ.

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი:

იურიდიული რჩევისათვის ერთი. წლიური ჯამაგირი 12000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 7000 მ.

სახელმწიფო ბანკის თბილისის კონტორის კომისარი ერთი. წლიური ჯამაგირი 10200. ივლისიდან წლის დამლევამდე 5950 მ.

სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილების კომისარი ერთი. წლიური ჯამაგირი 5400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 5950 მ.

საკანცელარიო წლიური ჯამაგირი 24000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 14000 მ.

სასტამბო წლიურად 18000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 10500 მ.

ბინის დაქირავება წლიურად 19200 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 11200 მ.

სამეურნეო ხარჯები—გათბობა განათებითურთ წლიურად 36000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 21000 მ.

ინვენტარის შეძენა წლიურად 6000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 3500 მ.

საგზაო ხარჯები წლიურად 18000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 10500 მ.

მინისტრის განკარგულებაში მოულოდნელ ხარჯებისათვის წლიურად. 24000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 14000 მ.

ჯამი წლიურად 172800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 100800 მ.

სულ წლიურად 734400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 428400 მ.

თავმჯდომარე. ვის სურს სიტყვა ამ კანონ-პროექტის შესახებ? სიტყვა კუთვნის პარლამენტის წევრს ასათიანს.

ალექსანდრე ასათიანი. (ეროვ. დემ.) ბ. ბ. პარლამენტის წევრნო! ახლად აღდგენილი სახელმწიფოს ბიუჯეტის განხილვა ალბათ, კიდევ დიდხანს არ მოუხდება ჩვენს პარლამენტს. ფინანსების და, საზოგადოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ვითარება და მდგომარეობა კი გვავალებს, რომ საქართველოს ფინანსიურ პოლიტიკაზე უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ. ამისთვის ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს შტატების განხილვის გამო, საჭიროდ ვცნოთ, ზოგიერთი მოსაზრება გამოვსთქვათ საფინანსო უწყების მუშაობის შესახებ.

ფინანსები მთავარი საზრდო არის სახელმწიფოსი და მისი სიმტკიცე და სისუსტე, უმთავრესად, ფინანსებში გამოიხატება. ამიტომ გასაგებია, რომ სახელმწიფოს უწინარეს ყოვლისა ზრუნავდეს თავის ფინანსების გამტკიცებისთვის: მეომარ სახელმწიფოებს და მეომარ ერებს ბევრად უფრო უადვილდებათ ომისთვის სისხლის ხარჯის გაღება ვიდრე ქონებრივი მსხვერპლისა და რომ ამ ომში კიდევ უფრო ვინემ მშვიდობიანს ცხოვრებაში, ფინანსების მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

არ არის გასაკვირველი, რომ ჩვენი ფინანსიური სისტემა ჯერ-ჯერობით მოუწყობელი იყოს. საქართველოს თავისუფლების აღდგენის დღეს ჩვენ ამ მხრივ მხოლოდ ცარიელი ადგილი გვქონდა და აგრეთვე ფრიად დავალიანებული ხაზინა. ყოველივე ხელახლად უნდა მოწყობილიყო და, რასაკვირველია, ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ მცირე ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით ასეთ მძიმე პოლიტიკურს ურთიერთობაში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ჩვენ კარგი ფინანსები ვერ შევქმენით. რამდენად გონივრულს ზომებს ვღებულობდით, რამდენად ვხარჯავდით ენერგიის და საზრიან მუშაობას მუშაობას იმისთვის, რომ შეძლების დაგვარად ჩვენ ფინანსიური სისტემა მოგვეგვარებინა და მტკიცე საფუძველზე დაგვემყარებინა—აი რა უნდა შეადგენდეს უმთავრეს განხილვის მიზანს, როდესაც ჩვენ ფინანსიურ სისტემას შევეხებით.

სახელეწიფოს ფინანსიური აპარატის მთავარს დანიშნულებას შეადგენს ბიუჯეტის შექმნა, ბიუჯეტის დაარსება. ჯერ ჯერობით ეს ჩვენ მოუგვარებელი გვაქვს და, რასაკვირველია, ამით აიხსნება, რომ ამ

მხრივ ყოველი ხელახლად დასაარსებელი იყო. სახელმწიფოში, როგორც საქართველოს ერთეულში, ყოველივე ხელახლად იყო მოსაგვარებელი, განსაკუთრებით იმ საშინელი რღვევის გამო, რომელიც ჩვენ განვიცადეთ. ამიტომ ჯერ-ჯეროობით ეს სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შექმნა არ არის დამთავრებული, თუმცა ამ მხრივ მუშაობა თავიდანვე სწარმოებს.

საჭიროა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბიუჯეტის შექმნა იმ წესით, როგორც აქამდე სწარმოებდა, სრულებით არ არის მიზან შეწონილი. საქართველოს პარლამენტმა მრავალი საფინანსო საბიუჯეტო კანონ-პროექტი განიხილა. ჩვენ მოგვაწოდეს სხვა და სხვა სამინისტროებისა და სხვა დაწესებულებათა შტატები და მივიღეთ ეს. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ მწუხარებით, რომ ამ მუშაობაში არ იყო არავითარი გეგმა, არავითარი სისტემა. მუშავდებოდა სგვა და სხვა უწყების შტატები, მაგრამ ფინანსთა უწყებას ყოველივე ეს სათანადოთ გათვალისწინებული არასოდეს არ ჰქონდა. ეს კიდევ ცოტაა. შტატები შემუშავდა და გატარდა პარლამენტში ფინანსიურ უწყების დაუკითხავად. თითქმის ყველა უწყებები თვითონვე აწესებდა თავის შტატებს და პირდაპირ პარლამენტში წარმოადგენდა ფინანსთა უწყების დაუკითხავად. რასაკვირველია, ეს ისეთი არა ბუნებრივი მოვლენაა, რომ შეუძლებელია ამის დაკანონება. უწყებამ მომავალში მაინც უნდა მიიღოს ზომები, რომ ყოველგვარი საფინანსო მუშაობა სწარმოებდეს ამ საფინანსო უწყების ხელმძღვანელობით და მეთაურობით. რომ ეს მუშაობა სრულიად უსისტემოდ შენდებოდა, ამის შედეგები უკვე თვალსაჩინოა. საკმაოა გავეცნოთ სხვა და სხვა სამინისტროს წყობილებას და შტატებს, რომ დავრწმუნდეთ, რომ იქ არ არის დაცული არავითარი გეგმა, არავითარი სისტემა. და როდესაც ჩვენ მიგვიქცევია ყურადღება ამ მოვლენაზე, ყოველთვის მიგვიღია პასუხი, რომ ეს არის დროებითი შტატები, რომ მომავალ წელში ნამდვილი, სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნას შეუდგებითო და სხ. რასაკვირველია, ყოველივე ეს დროებითი არის, მაგრამ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, რომ ახლად შექმნილის დარღვევა და დაშლა კიდევ ახალს ხარჯებს მოითხოვს. თუ მივიღებთ მხედველობაში სხვა და ხხვა დაწესებულებათა ლიკვიდაციის პრაქტიკას, უნდა ვიცოდეთ, რომ გადაშენება ჩვენი სახელმწიფოს აპარატისა, ხაზინას იაფად არ დაუჯდება. იმიტომ ფინანსთა უწყება უნდა ცდილობდეს, რომ შეათანხმოს და შეარიგოს ეს სხვა და სხვა უწყების აღმაშენებლობა და მათ შტატების შექმნა, რამდენათ შესაძლოა, ერთ მთლიან გეგმით აწარმოოს. ფინანსთა უწყებას ამ საქმისთვის თავიდანვე უნდა მიექცია ყურადღება, მათ უნდა მოეხდინა ერთგვარი გავლენა, რომ სახელმწიფოებრივი აპარატი არ შექმნილიყო ასეთი რთული და ასეთი ძვირი ფინანსიურ თვალსაზრისით. ყველა უწყებებს უნდა ახსოვდეს და განსაკუთრებით არ უნდა ავიწყდებოდეს ფინანსთა სამინისტროს ის ჭეშმარიტება, რომ ასეთ პატარა სახელმწიფოს, როგორიც არის საქართველო, არ შეუძლიან ასაზრდოვოს ისეთი დიდი სახელმწიფოებრივი აპარატი, რომელსაც ჩვენ ვქმნით. ეს აუარებელი სამინისტროები, რომელთა რიცხვის სანახევროდ შემცირება შეიძლებოდა, ისეთ დიდს ხარჯებს მოითხოვს, რომ საქართველოს ხაზინა, ბევრად უკეთეს მდგომარეობაშიც რომ იყოს, მაინც ვერ შესძლებდა.

მაგრამ არ კმარა თუნდაც კარგი სახელმწიფოებრივი აპარატის

შექმნა. საჭიროა მისთვის საზრდოს მოპოება. ფინანსთა უწყების უმძიმესი მოვალეობა სწორედ ეს ხახსარის გამოძებნაა. ჯერ-ჯერობით ჩვენ მხოლოდ იმ აპარატს ვქმნით, რომელსაც ეს საზრდო და ეს ხარჯი ჰქონდეს. სახელმწიფოსთვის სახსრის ძებნა ჯერ-ჯერობით არც კი დაგვიწყია. რასაკვირველია, სახელმწიფოს მასაზრდოებელ ძალათ ჩვენ ვერ ჩავთვლით იმ ფინანსიურ სისტემას, რომელიც ქალალის ფულების ბეჭვდაში გამოიხატება. უნდა ვიცოდეთ, რომ სახელმწიფოებრივ მეურნეობას, როგორც ყოველივე მეურნეობას მხოლოდ რეალური ღირებულება ასაზრდოებს ხანგრძლივად. ასეთი შემოსავალი წყარო ჩვენს ფინანსთა უწყების საუბედუროთ დასამწუხაროდ ჯერ არ გასჩენია თუმცა ასეთი შესაძლებლობა უთუოდ იყო. ეს მცირე შემოსავალიც, რომელსაც ჩვენ მოველით საბაჟო უწყებიდან და რამდენიმე ჩვენ მიერ მიღებულ კანონპროექტის განხორციელებით მხოლოთ წვეთია ზღვაში.

ფინანსთა უწყებამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფო შემოსავლის მთავარ წყაროს, რომელიც გადასახადების სახით შეიკრიბება. ყველა თანამედროვე სახელმწიფოთა საფინანსო უწყების უთავრეს წყაროს მხოლოდ ეს გადასახადები შეადგენენ. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ კი მას ხალხი გადასახადებით არ ჰყავს დაბეგრილი, სანამ საფინანსო უწყება საქართველოს ხალხს არ დაბეგრავს იმდენათ, რამდენათ ეს აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს სახელმწიფოს არსებობისთვის, მანამდის ჩვენ არ გვექნება წესიერი საფინანსო სისტემა. გადასახადების საქმის მოგვარება დიდს სიძნელეს წარმოადგენდა დღემდე და ეხლაც. საქართველოს თითქმის ყველა კუთხემ განიცადა საშინელი ანარქია. საქმის მოგვარებას, ადმინისტრაციის მოუწყობლობა შეუძლებლად ხდიდა, მაგრამ ზოგიერთ კუთხეებში ეს ადმინისტრატიული აპარატი კარგა ხანია მოქმედობს. მაშასადამე, იმ კუთხეებში, სადაც ერთგვარი მშვიდობიანური ცხოვრება იყო იმ თავიდანვე შეიძლებოდა ამ მუშაობის დაწყება, ეხლა კი თითქმის მთელ საქართველოში შესაძლოა ამ საქმის წარმოება.

საკუთარი ფულის საკუთარი ვალიუტის შექმნის საკითხი მეტად მძიმე საკითხი, ახლად აღდგენილ სახელმწიფოსთვის. რასაკვირველია-ვერავინ უსაყვედურებს ფინანსთა უწყებას, რომ მან აქამდის ვერ შეს, ძლო საკუთარ ვალიუტის შექმნა. ისეთს ურთიერთობაში, რომელშიაც იყოფება საქართველო და მთელი მსოფლიო, საკუთარი ვალიუტის შექმნა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. გასაგები არის რომ ამ შემთხვევაში მთავრობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა.

მაგრამ საკუთარი, ვალიუტის შექმნას უნდა უსწრებდეს მრავალი სხვა ეკონომიური ხასიათის მუშაობა. მე ვფიქრობ ამ ხნის განმავლობაში ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ამ მუშაობის დაწყების საშუალება ჰქონდა, მაგრამ მან ამისთვის საჭირო ენერგია ვერ გამოიჩინა. სახელმწიფოს ფინანსები სახელმწიფოს საწარმოვო ძალთა მდგომარეობას ემყარება და ამ ძალებით საზრდოობს. თუ სახელმწიფოს მწარმოებელი ძალები არ არის ამოქმედებული და ამოძრავებული თუ არ არსებობს ერში წესიერი მეურნეობა, მრეწველობა, აღებ-მიცემობა, შეუძლებელი არის სახელმწიფოს ფინანსების მოწყობა წესიერად. ასეთს მდგომარეობაში სახელმწიფო მხოლოდ თამასუქებით თუ იარსებებს. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი თამასუქებით არსებობა დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ხნით შეუძლებელია. ამიტომ სახელმწიფოებრივი ფინანსების მოგვარებისთვის მთავარი საქმეა ქვეყნის მწარმოებელ ძალთა აღმოძრავება და განვითარება.

სამწუხაროდ ჩვენი სამინისტროს მეორე ნაწილი—ვაჭრობა-მრეწველობის უწყება ჯერჯერობით კიდევ უფრო მოუწყობელია და მისი მუშაობაც ამ მხრივ არ არის თვალსაჩინო. საქართველოს სახელმწიფოებრივობის დამკვიდრებისათვის ამ უწყებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მთავრობამ მას ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინოს, რომ ამ უწყებამ თავისი საქმე მოაგვაროს ისე, როგორც შეეფერება ამ უწყების დანიშნულებას.

ყვენ დღეს განსაკუთრებულ პირობებშიც რომ არ ვიყოთ და საქართველოს განთავისუფლება ჩვეულებრივს, ნორმალურს პირობებში მომხდარიყო, მრეწველობის საქმე მაშინაც მთავარი საზრუნავი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის, ვინაიდან საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა მხოლოდ სიტყვა იქნება, თუ კი ის ეკონომიურათ არ იქნება მოწყობილი და ყოველივე საჭირო მასალა სხვა ქვეყნებში გაუხდა საძებარი. მაგრამ ეროვნული მრეწველობა კიდევ მეტი ყურადღების ღირსია ეხლა, როდესაც მსოფლიოს ურთიერთობაში სრულებით აღარ მოქმედობენ ძველი, ნორმალური პირობებში შექმნილი ეკონომიური კანონები. დღეს, როდესაც ყველა სახელმწიფოები, და არა მარტო მეომარი სახელმწიფოები, არამედ ნეიტრალური სახელმწიფოებიც, ერთგვარ კარჩაკეტილ ციხეებს წარმოადგენდენ, როდესაც მუდმივი ეკონომიური კავშირი ყველა სახელმწიფოებთა ურთიერთობაში შეწყვეტილი არის, დარღვეულია და ყოველი სახელმწიფო მინდობილი არის თავის საკუთარს ძალებს, ასეთს პირობებში, რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რომ სახელმწიფომ თავის საზღვრებში მოაწყოს ყველა აუცილებელ საჭიროების საქონლის წარმოება და დამუშავება, რომ რაც შეიძლება ის ნაკლებად იყოს დამოკიდებული სხვა ქვეყნებიდაგან. რასაკვირველია, ეს დიდს სიძნელეს წარმოადგენს, მაგრამ ასეთი მუშაობა უნდა აწარმოვოს ყველა სახელმწიფომ, დიდმა თუ პატარამ. ეროვნული მრეწველობის განსავითარებლად ეს არაჩვეულებრივი პირობები ხალსაყრელიც არის. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ჩვენი სახელმწიფო კიდევაც რომ ცდილობდეს თავის კარების გაღებას და სხვა ქვეყნებთან მტკიცე კავშირის შექმნას, ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს. ყველა ის სახელმწიფო, რომელთანაც უწინ გვქონდა მუდმივი ეკონომიური დამოკიდებულება, ამ ჟამად ჩვენთვის თითქოს არ არსებობს და მათი კარები ჩვენთვის ამ ჟამად დახშული არის. ამ პირობებში ჩვენ მრეწველობას არ მოელის ისეთი მეტოქეობა, კონკურენცია, რომელიც გადახდებოდა მას მაშინ, როდესაც ყველა სახელმწიფოები ერთმანეთთან გადაჯაჭვული იყვენ მტკიცე ეკონომიური ურთიერთობით. უცხოთა კონკურეციას და შეჯიბრებას ხშირად შეუძლებელი გაუხდია მრავალ სახელმწიფოთა ეკონომიური ძალების განვითარება. დღევანდელს პირობებში კი ჩვენ თუ საქმიანობა გამოვიჩინეთ, მიუხედავად ჩვენი ქონებრივი სისუსტისა და ტეხნიკური ჩამორჩენისა, გვექნება შეძლება და საშუალება იმდენად მოვაწყოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ქვეყნისათვის აუცილებელ საჭიროების საქონლის წარმოშობის მხრივ, რომ, როდესაც დამყარდება ნორმალური ეკონომიური ურთიერთობა ერთაშორის თავის ბრძოლითა და შეჯიბრებით, ჩვენ ვიწრო ფარგლებ-

ში გვექნება შექმნილი საკუთარი მრეწველობის საქმე და ჩვენი ქვეყანა არ იქნება ისეთი სრულიად უმწეო და სრულიად სუსტი, როგორც იყო ომის წინ. ამ ჟამად მრეწველობის მხრივ ყველა დაწენიურებული ქვეყანა სრულიად გაუქმებული არი და წარმოება იქ მეტად შეფერხებული არის მიუხედავათ მათი ტეხნიკურ წარმოჩენებისა და ცოდნისა. მათ არ მოეპოვებათ ნედლი ბასალა, თუ მუშათა ხელი.

ჩვენი მრეწველობის აღმოცენებისათვის უმთავრეს სიძნელეს ამ ჟამად კაპიტალის უქონლობა თუ ტეხნიკური ჩამორჩენილობა კი არ წარმოადგენს, არამედ შრომის საკითხის სრული გაურკვევლობა. რასაკვირველია, თუ მუშათა საკითხი დღევანდელს მდგომარეობაში დარჩა, ჩვენ არამც თუ ახალ წარმოებათ ვერ შევქმნით, არამედ იმასაც დაღუპავთ, რაც გვაქვს. ვაჭრობა—მრეწველობის სამინისტრო მოვალეა უპირველესად ამ მხრივ გადადგას შესაფერი ნაბიჯები. ერთი სიტყვით როდესაც არავითარი საშუალება არ გვაქვს, რომ უცხო ქვეყნიდან თავისუფლად შემოვიღოთ ჩვენთვის აუცილებელი საქონელი, რაც უნდა ძვირად დაუჯდეს ჩვენს ქვეყანას ამ საქონლის წარმოშობა, რაც უნდა გამოუცდელები ვიყოთ ამ მხრივ, საქმიანობა თუ გამოვიჩინოთ მრავალი წარმოების დამფუძნებას შევძლებთ ჩვენს ქვეყანაში. ვაჭრობა—მრეწველობის უწყებას მთავარ დანიშნულებას ერის ამ მწარმოებელ ძალთა გაღვიძება, აღდგენა და განვითარება უნდა შეადგენდეს. ის უნდა იყოს ხელმძღვანელი და მეთაური საქართველოს ამ ეკონომიუ რამოქმედებისა. სამწუხაროთ, სამრეწველო უწყება ამ ჟამად იმდენად მოუწყობელია და სუსტი, რომ ამ მხრივ მას თითქმის არაფერი გაუკეთებია და ეს შემოქმედებითი მუშაობა, ეს ორგანიული მუშაობა ჯერ-ჯერობით არც კი დაწყობილა. სამინისტრომ მეტი ენერგია უნდა გამოიჩინოს იმისთვის მაინც რაც არსებობს, რის გამოყენება შეიძლება, რაც წარმოადგენს ერთ გვარ პირველ საფეხურს ამ დიდ საქმისათვის—ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისათვის. ცნობილია როგორი ჩვეულება მყარდება ჩვენს სამინისტროებში, ერთმანეთს სტაცებენ ისეთს საქმეს, რომელიც მათ სრულიად არ უნდა ეკუთვნოდეს. სამწუხაროდ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს არ გამოუჩნია საკმარო ენერგია, რომ ასეთი მოვლენისაგან თავი დაეცვა და შეენარჩუნებინა ის, რაც უკვე იმას ეკუთვნის, რაც იმის პირველ დანიშნულებას შეადგენს. რომ არ შევეხოთ ზოგიერთ წვრილმან საქმეს, რასაკვირველია შედარებით წვრილმანს, არსებითად კი ფრიად მნიშვნელოვანს, აღსანიშნავია ის, რომ მრეწველობის სამინისტრომ ვერ მოახერხა, ვერ შესძლო და რამდენათაც მე ვიცი, არც კი ყოფილა ცდა, რომ დაეტოვებინა თავის უწყებაში საპროფესიო სწავლა-განათლების საქმე. ჩვენ მრეწველობის აღორძინებისთვის და განვითარებისთვის საპროფესიო სწავლა-განათლების საქმეს ულიდესი მნიშვნელობა ექნება. უკანასკნელი ნახევარი საუკუნე ევროპაში ასეთი საპროფესიო სწავლა-განათლების საქმე განსაცვიფრებელის სისწრაფით იზრდება. საპროფესიო სწავლას უფრო მახლობელი კავშირი და დამოკიდებულება აქვს სახელოსნოებსა და ქარხანა-ფაბრიკებთან, ვიდრე საზოგადო სწავლა-განათლების უწყებებთან. ამ საპროფესიო განათლების საქმეს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. არ უნდა გავყვეთ იმ შაბლონს სწავლა განათლების საქმეში, რომელსაც წარმოადგენს ძველი რუსეთის სწავლა-განათლების საქმე. და ის, რაც

ჩვენ გვაკლდა და ის რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ჩვენთვის დაჩქარებით უნდა იყოს მოგვარებული. ამ მხრივ ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მთავარი სიტყვა ეკუთვნის. და იმის მაგიერად, რომ ეს საქმე სამინისტროს ახალს და მტკიცე საფუძველზე დაეყენებინა და მთელი საქართველო მოეფინა სავაჭრო სკოლებით, დაბალ და საშვალო საპროფესიო სასწავლებლებით, ზოგი თავის საღსრით და ზოგი კი ვაჭარ-მრეწველთა წოდების დახმარებით. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ეს საპროფესიო სწავლის საქმე განათლების სამინისტროს გადაულოცა. ამის შედეგი კი ის არის, რომ პარლამენტს მრავალი მოხსენდა კანონ-პროექტები ახალი საზოგადო განათლების სკოლების გახსნის შესახებ, ხოლო სპეციალური საპროფესიო და ტეხნიკური განათლება არავის ახსოვს.

ამ უწყების შენობიდან ბევრი კიდევ სხვა აგურები გამოიღეს, შეიძლება ითქვას სრულიად შეუმჩნეველად. ტყიბულის ქვანახშირის საქმეს თქვენ მოგეხსენებათ რა მნიშვნელობა ჰქონდა ღა ეხლაც აქვს, ამ მდგომარეობის გამო, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით სათფობ მასალის უქონლობის გამო. ეს ტყიბულის წარმოების მაღაროების საქმე ჯერ იყო მიწადმოქმედების სამინისტროს ხელში, და ვაჭარ-მრეწველობის სამისისტრომ ვერ მოახერხა მრეწველობის საქმის წამოღება ამ სამინისტროდან, რომელსაც ამასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. როდესაც ეს თავას თავად მოხდა, ტყიბულის წარმოება გადავიდა რკინის გზის უწყების ხელშე. რასაკვირველია, უმთავრესი მომხმარი ამ საგნისა რკინის გზის უწყება არის. მაგრამ ეს ბუნებრივი არის და ნორმალური, რომ ეს წარმოება, ტყიბულის საქმე, ვაჭარ-მრეწველობის სამინისტროს ხელში ყოფილიყო.

მრეწველობა საქართველოში სრულიად არ არის განვითარებული და სხვა და სხვა წარმოებათა მფარველობა და მეთვაყურეობა მძიმედ არ დააწვება ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს. მაგრამ არის მთელი დარგები ისეთი საქმისა, რომელნიც ამ ჟამად გამოსადეგია და გამოსაყენებელი საქართველოს მრეწველობის აღმშენებლობისათვის. და უთუოდ სამინისტომ მათ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს ოცი წელიწადია, რაც ჩვენ ქვეყანაში დაარსდა მიწა-მრეწველობის კომიტეტი. ამ ჟამად ამ კომიტეტს ჩვენს საღვრებში თერთმეტი—თორმეტი სახელოსნო და სასწავლებელი აქვს დაარსებული და მრავალი დახელოვნებული მქსოველნიც ჰყავს. უწინ ეს საქმე იყო სწავა-განათლების სამინისტროს ხელში, ხოლო ამ საქმეს აწარმოებდა სახელმწიფო ქონების უწყება. ამ ჟამად ამ ორგანიზაციას უფრო სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სასკოლო. სართავ-საქსოვ ხელობის გავრცელებისათვის, რომელსაც უმთავრესად ემსახურება ეს კომიტეტი, ამ ჟამად იქნებ არავის სცალიან, მაგრამ ეს კომიტეტი, მისი სახელოსნოები, და დახელოვნებული მქსოველნი უნდა გამოგვეყენებინა, რომ მას რაც შეიძლება მეტი ნაქსოვი მიეცა სახელმწიფოსთვის. ამ კომიტეტს აქვს მოწყობილი თავისი ძაფის სართავი მანქანა. აგრეთვე თბილისში მოიპოვება ორი ძაფის სართავი კერძო ფაბრიკა. ამათ მიუმატვთ მრავალი დახელოვნებული მქოველი თავის გაუმჯობესებულ დაზგებით, რასაკვირველია ეს ვერ უზრუნველჰყოფს საქართველოს სართავ-საქსოვ მასალით,

მაგრამ ყოველს შემთხვევაში, გააუმჯობესობებს ჩვენს მდგომარეობას. ეს თითქმის საკმაო იქნება სრულიად იმისთვის, რომ ჩვენი ჯარი უბრუნველჰყოს ასეთი მასალით. ეს კომიტეტი ამ მხრივ მრავალ შუამდგომლობას სძრავს სხვა და სხვა უწყების წინაშეც, რომ მათ მიეცეთ დახმარება, მცირე დახმარება ნედლი მასალის შესაძენად. კომიტეტს სურვილი და შეძლება აქვს ისე ვაფართოვოს ეს საქსოვი საქმე, რომ ერთი წლის განმავლობაში მის შემწეობით მილიონ ნახევარი არშინი ბამბის და შალის ნაქსოვი მივიღოთ. ჩვენს საჭიროებასთან ეს, რასაკვირველია წვეთია ზღვაში, მაგრამ ჩვენი მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესობაც ხომ დიდი საქმეა ამ კომიტეტს დახმარება არ მისცეს, მას ნედლი მასალა არ მოეპოვება და ეს კი საქმისთვის იმისთანა დამაფერხებელ რამ არის, რომ მისი ფაბრიკა და მანქანები არ იძლევა ერთ მეხუთედს იმისას, რის მოცემაც შეუძლიან.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის უწყებას მართებს მრავალი კორექტივების შეტანა საზოგადოთ ჩვენს საქართველოს აღმაშენლობის საქმეში, ვინაიდან მრავალ მოვლენას, რომელსაც აქვს ადგილი ჩვენს პოლიტიკურ ვითარებაში, საბედისწერო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოგვარების საქმისთვის. ამიტომ ამ უწყებას უთუოდ მართებს მეტი გავლენის მოხდენა ჩვენს სახელმწიფოებრივს აღმშენებლობაში. ყოველ შემთხვევაში თავის საქმით, თავის მუშაობის საქმიანობით მას მეტი ცვლილებების, კორექტივების შეტანა შეეძლო ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაში. უწყების უმთავრეს საქმეს უნდა შეადგენდეს, აგრეთვე ის, რომ მუშათა საკითხი საქართველოში ისე იყოს მოგვარებული, ისე იყოს შესწორებული, რომ შესაძლო გახდეს საქართველოს მრეწველობის აღორძინება და განვითარება. მოიგონეთ ჰიათურის და შემდგომ ტყიბულის მუშების საკითხი ამ საქმეში მრეწველობს ჩვენმა სამინისტრომ ვერავითარი დახმარება ვერ აღმოუჩინა.

თავმჯდომარე. უკაცრავათ, ბატონო, თავდება თქვენი დრო.

ასათიანი. უკაცრავათ, მე უკვე ვასრულებ. უწყებისთვის ცოტა მნიშვნელოვანი არ იქნება, რომ მუშათა საკითხთან ერთად თვით მიწის საკითხშიც დაჩქარებით შეტანილი იქნეს ის შესწორებანი, რომელთაც ჩვენი მთავრობა დიდი ხანია ამზადებს. მაგრამ დღეს დღეობით დაგვიანებული კიდევ არ არის ამ აგრარულ რეფორმის წესიერად მოგვარება და მუშათა საკითხის ასე გადაჭრა, როგორც სხვა სახელმწიფოებში სხვა დაწინაურებულ სახელმწიფოებში არის. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ცხოვრების სათანადო ნორმალურ პირობებში ჩაყენებისთვის და საქართველოს ეკონომიურ ძალების განვითარებისთვის მრეწველობის და საფინანსო უწყებას განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა ჰმართებს ამ საკითხებისთვის ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს თავისუფლება მხოლოდ მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როდესაც მას მოწყობილი ექნება თავისი ეკონომიური ვითარება მეურნეობა და ვაჭრობა მრეწველობა, როდესაც ყოველივე აუცილებელი საზრდო და მასალა, თავის საზღვრებში მოეძებნება, როდესაც ქვეყნის განვითარება ისე სტიქიური ხდება, როგორც ჩვენ სახელმწიფოში არის, რასაკვირველია, ძლიერ ძნელია წინასწარ შედგენილ გეგმით მუშაობა. მაგრამ ყოველშემთხვევაში უდიდესი უნდა იყოს ცდა, რომ ეს მუშაობა იყოს შეგნებული რომ ეს განვითარება წარმოებელი იყოს ერთ გვარი გეგმით, ერთ გვა-

რი წესით და წინასწარ გათვალისწინებული იყოს ყოველივე, რის გათვალისწინება შეიძლება. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებას რასაკვირველია ვერ უსაყვედურებთ, ასე სწრაფად მან, რომ ვერ შექმნა საქართველოში მრეწველობა, აღებ-მიცემა ვერ ჩააყენა ნორმალურ პირობებში მისი ეკონომიური ცხოვრება, ვერ მოუწყო სახელმწიფოს საღი ფინანსები. საჭიროდ ვთვლით აღვნიშნოთ მხოლოდ ის მოვლენა რომ ამ უწყებას არ ჰქონდა საკმაოდ გარკვეული სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის გზები და თავისი დანიშნულებათა და მიზნების მიღწევაში მას მეტი ენერგია და დამოუკიდებლობა მოეთხოვებოდა.

ფინანსთა მინისტრი ვ. ჟურული. ბატონებო, მე სწორედ მოგახსენოთ, ვერ მიხვდი პატივცემულ პარლამენტის წევრის ასათიანის წადილს და სურვილს, (ხმა: „მართალია ორი საათი ილაპარაკა!"), როდესაც იგი ლაპარაკობდა ფინანსთა უწყებისა და მრეწველობის შესახებ.

ან იყო ეს საყვედური ფინანსთა უწყების მიმართ, ან იყო ეს მხილება, ან იყო ეს რჩევა. მაგრამ იქ, სადაც საყვედური ისმოდა თითქმოს, ბოდიშიც თან მოსდევდა. და მე სწორედ მოგახსენოთ ჩემთავს ვკითხავდი: „წარმოვსდგე თუ არა საპასუხოდ?" რადგანაც თვითონ ბატონი ასათიანი ბოდიშებს უფრო მეტყველურად იხდიდა. ამიტომ მე ვერ მივხვდი—იყო მხილება, თუ ეს იყო რჩევა. თუ ეს არის რჩევა, მე დიდის სიამოვნებით მივიღებ ყველა იმას, რაც მისაღებია, რადგანაც თუ თქვენგან არ იქნება რჩევა, ის პატარა უწყება, რომლის სათავეში მე ვდგევარ, ვერ მოახერხებდა იმ პატარა საქმეს გაკეთებას, რომელიც დაინახა ბატონმა ასათიანმა.

სრული ჭეშმარიტება არის რომ ფინანსთა სისტემის განმტკიცება არის სახელმწიფოს განმტკიცება. ამიტომ სულ პირველად დაებადა საფინანსო უწყებას ეს კითხვა,—თუ საიდან უნდა მოეპოვათ ეს სიმტკიცე ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს, როდესაც მას საკუთარი ფული არა აქვს. ათასნაირი კითხვები, ათასნაირი იმედები გვებადებოდა. ზოგიერთი მათგანი გვიტაცებდა თვის სიმალხაზით. მაგრამ საფინანსო უწყებამ თავი დაიჭირა და სთქვა, რომ ამ კითხვაში დიდი სიფრთხილე არის საჭირო. აქ ფეხაკრებით უნდა სიარული არ უნდა გაიტაცოს კაცი არავითარმა ლამაზმა აზრმა. რადგან შეიძლება ამან ხიფათში ჩააყენოს სახელმწიფო. შეიძლება სახელმწიფო დიდ ხიფათში ჩავარდეს, თუ იგი განსაცდელში იქნება ჩაყენებული ფინანსების მხრივ.

ამიტომ მე დაჟინებით მოვითხოვდი, რომ არ გამოგვეცვალა ის ბონები, ის ფულის ნიშნები, რომელსაც სცემდა მთავრობა ამიერ-კავკასიის დროს. ხალხის ფსიხოლოგიამ შეიგნო იგი და ჩვენ რადგან არ მოგვეპოვებოდა არავითარი ბაზა, არავითარი ფონდი, რომლის მეოხებით შეგვეძლო გამოგვეცვალა ქაღალდის ნიშნები—ჩქვენ ვსთქვით, რომ არ გაგვიტაცემს, ის ლამაზი აზრი, რომ უთუოდ ქართული სახელი ერქვას ამ ფულს, ვინაიდან ჯერ კიდევ მეტად საფიქრებელია, თუ რას იტყვის ხალხი და უცხო ბაზარი. მიუხედავად იმისა, რომ მარცალნი იყვნენ შიგა და შიგ ამ აზრის, ამ ნაბიჯის გამაკრიტიკებელნი, ჩვენ მაინც აზრი არ შეგვერყა რადგან პასუხის გება, რომელსაც ვდებულობდი ამ დიად საკითხში მეტად დიდი იყო, ჩვენ ვიცდოთ, რომ საჭირო არის დიდი სიფრთხილე ფინანსიურ კითხვის გადაჭრაში. თქვენ ჩვენი წინადადება მიიღეთ, დასტური დასდეთ მას. და შემოსეთ

იგი ავტორიტეტით. ეს იყო პირველი ფინანსიური სისტემის აღიარება ჩვენს მიერ თქვენს წინაშე. ამ გზას ვადგევართ დღესაც, რადგან მას შემდეგ, რაც მოვაგვარეთ ეს საქმე არაფერი არ შეცვლილა.

საზოგადოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ხანა რევოლუციისა, ხანა ერთა განვითარებისა, ყოველთვის ყოფილა ხანა ფინანსების რყევისა. და ეს მომხდარა იქაც კი, სადაც ბაჯაღლო ოქრო ჰქონიათ. მოიგონეთ, თუ გნებავთ ვაშინგტონის გოდება, რომელიც ამბობდა, რომ განა შეიძლება კიდევ სადმე იყოს ისეთი უბედური ქვეყანა, როგორც ამერიკა, სადაც ერთ ურემ ბზეში ერთ ურემ ფულს აძლევენო. არ ყოფილა ნახული არც ძველ ისტორიაში და არც ახალ სახელმწიფო ცხოვრებაში ასეთი მაგალითები, რომ ამ რევოლუციის ხანას არ მოსდევდეს ფულის ნიშნების ფასის დაცემა. ასეთ ხანაში ფული ყოველთვის თავის ფასში ეცემა და ყალბდება. მე არ ვიცნობ ისტორიაში არც ერთ ფინანსთა მინისტრს, რომელსაც ამისთანა ხანაში შესძლებოდეს ფინანსიურ ჩარხის ისე გამოტრიალება და ფინანსთა სფერიში ისეთ შესაძლებლობის შექმნა, რაც ჰსურს ბ. ასათიანს ამ ოთხ თვის განმავლობაში. მაგრამ მე თქვენ წინაშე ბოდიშს ვიხდი, რომ განვაცხადე— მას უნდა მეთქი, მას არ უნდა ეს, რადგანაც ის ამავე დროს ამბობს, რომ ამ ოთხი თვის განმავლობაში ბევრი არაფერი არ გაკეთდებოდაო. მე და ასათიანი ამ საკითხში თანახმანი ვართ, მაშასადამე გადავდივარ მეორე მის ბრალდებაზე.

მეორე ბრალდება ის გახლავთ, რომ ფინანსთა მინისტრმა, ბიუჯეტის შექმნა ხელთ არ იგდოო. აიღეთ ყველა ჩვენი სამინისტროები. მათ თავთავიანთი ხარჯთაღრიცხვა არ წარმოუდგინეს საფინანსო სამინისტროს, არამედ მარტო შეადგინეს და შემოვიდნენ აქ. ასე რომ ფინანსთა მინისტრს არც კი დაკითხებიანო. მართალია, იმ სახით, როგორც საჭიროა ბიუჯეტის შექმნა, ეხლა ბიუჯეტი არ სდგებოდა, ამ წლის მიწურულობამდი, ვინაიდან ეს არც იყო განზრახული, და არც იყო შესაძლებელი სხვა და სხვა მიზეზების გამო. ჩვენ დაგვხდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის აპარატი, რომელიც იყო აშენებული იმ ყაიდაზე, იმ დონეზე, რა ყაიდაზედაც იმართებოდა რუსული სახელმწიფო.

პირველი ჩვენი სურვილი იყო, რომ ყოველივე ძალ-ღონე გვეხმარა, რათა ეს აპარატი შეგვემცირებინა, მაგრამ იმ ზომამდი შემცირება, როგორც ეს ალბად მოგვიხდება სამერმისოდ, და რა აზრსაც მე თითონ ვადგევარ, ეს ყოვლად შეუძლებელი იყო. სრული გამოუცდელობა სახელმწიფო საქმეში, სრულიად ახალ საგნების შეხვედრა მინისტრებს და მის უახლოეს თანამშრომელნთ გვაიძულებდა, რომ ჩვენი უწყებანი შეგვემცირებინა, თუმცა შიგა და შიგ დავტოეთ ისეთი ადგილები, რომელთაც მერმის გავაკეთებთ, და ახლა კი ეს ადგილები საჭირო იყო, რომ გაგვეკეთებინა ეს, რაც ეხლა გავაკეთეთ.

თქვენ მიხვდებით, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო, თუ კაცს უნდოდა მართლა პრაქტიკულად საქმის გაკეთება, ეს ჩვენი უწყება ეხლავე იმ ზომამდი მიგვეყვანა, რა სახესაც იგი მიიღებს მერმის, როდესაც მეტ გამოცდილებასაც მივიღებთ, და ეს პირველი უძნელესი ნაბიჯები უკვე გადადგმული გვექნება.

აი, რატომ მოხდა რომ, ფინანსთა მინისტრი, და სახელმწიფო კონტროლერი ცოტა არ იყოს ზერელედ უყურებდა ამ ხარჯთ აღრიცხვს,

რომელსაც სათანადო მინისტრები წარმოადგენდენ ხოლმე; თვითონ თქვენი უმორჩილესი მონა, როდესაც ადგენდა თავის უწყების ხარჯთ აღრიცხვას, ფიქრობდა რომ საჭირო იყო ამ ხარჯთ აღრიცხვის ადრე თუ გვიან შემცირება. მაგრამ, ამ მოსაზრებით ძველი საქმის მიტოვება და ახალი საქმის შექმნა, და მომზადება სათანადოთ იმ საკითხისა, გვაიძულებდა ჩვენ, რომ ეს შტატები ყოფილიყო—ცოტა არ იყოს გაფართოვებული, ვიდრე იქმნება ნორმალურ პირობები.

წინასწარ ბიუჯეტი შედგენილი იქნება, ბიუჯეტი მუშავდება ეხლა იმ უწყებაში, რომელის სათავეში მე ვდგევარ; სრულდება ყოველივე სამუშაო, რაც კი საჭიროა, წინასწარი იყოს მოხდენილი-თვითეულ სამინისტროში. თვითეულ სამინისტროს მოეთხოვება თავის დროზე გეგმით პასუხი გაგვცეს წინასწარ საბიუჯეტო კითხვებზე. ხდება საბიუჯეტო კლასიფიკაცია, და ყველაფერი ეს მოითხოვს დროს: მოგეხსენებათ, რომ ჯერ ჩვენ არ მოგვეპოება ისეთი პირები, რომელთაც ჰქონდეთ ამ გვარი გამოცდილება სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაში. ამნაირი პირები, ამ საქმეში გამოცდილი ჯერ არ არიან, მე მეტს გეტყვით: ის პირი, რომელიც ადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც იყო ნამესტნიკის დროს და რომელსაც დიდი გამოცდილება ჰქონდა, ამ საკითხში ისიც კი ამბობდა, რომ არ ვიცი ძალიან ძნელი საქმეა ბიუჯეტის შექმნა, ვინაიდან ამ საქმეს დიდი .გამოცდილება უნდა, დიდი სპეციალობა და ხანგრძლივი შესწავლა. ეს დიდი გამოცდილების ადამიანი მოწვეულ იყო ჩვენ სამინისტროში ამ საქმისთვის. და ჩვენი მთავრობა იმაზედაც კი წავიდა, რომ რადგან ეს ადამიანი დაეტოვებინათ, ეს ადამიანი დარჩენილიყო ჩვენ სამინისტროში და ყველაზე მეტი ჯამაგირი მისცა. მაგრამ მან სცნო დიდი პასუხი მგებლობა სინიდისის წინაშე და არ დარჩა, თავი დაანება და წავიდა. ყველა ეს წვრილმანი მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ბიუჯეტის შედგენა მამაო ჩვენოსავით ადვილი საქმე არ არის. ამ საქმისთვის ჯერ ერთი, რომ არის საჭირო ყველა მასალის დაგროვება, შეკრეფა და მერე მცოდნე ადამიანის დაქირავება.

როდესაც გამოვაცხადეთ ჩვენი დამოუკიდებლობა, წინასწარ არ გვიფიქრია, რომ მოგვეწვია პეტროგრადიდან ან სხვა ადგილიდან მცოდნე პირი ცნობებისათვის, ბიუჯეტის შესადგენად საჭირო მასალის შესაგროვებლად, რომელიც სათანადო სამინისტროებში უნდა ყოფილიყო.

უნდა მოგახსენოთ ისიც, რომ ფინანსთა სამინისტრო უკვე ადგენს ბიუჯეტს. მე მზად მაქვს მოხსენება მთავრობისადმი, სადაც წინასწარ ვაცხადებ, რომ ამ გზით სვლა ჩვენ არ შეგვიძლია და როგორც მე მაჩვენა სამი, ოთხი თვის გამოცდილებამ, ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენმა ერმა შესძლოს ამ რთულ და ძვირ აპარატის ყოლა. რომ ეს აზრი უფრო ცხადად იყოს დასახული, წარმოიდგინეთ, რა იქნება, რომ რაღაც სხვა გზას დავადგეთ და უფრო გავაფართოოთ სახელმწიფოებრივი აპარატი. ამ საქმისთვის საკმარისი არ არის ვიცოდეთ მარტო ნამდვილი ხარჯი. საჭიროა ამასთანავე ვიცოდეთ რა შემოსავალი ექნება ჩვენს სახელმწიფოს. როდესაც ჩავდეგით ამ საქმეში, ჩვენ დავინახეთ, რომ ფინანსების საქმე დაყენებული იყო ამიერ-კავკასიის მაშტაბით. ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ამიერ კავკასიას არ ჰქონდა შემუშავებული არც შემოსავლისა და არც გასავლის აღრიცხვა. ეს ამიერ-კავკასიის მაშტაბი ჩვენ უნდა დაგვეხურდავებინა ქართულ მაშტაბად. ამ დახურდავების

დროს ჩვენ წავაწყდით ისეთ მაგალითებს, რომელნიც მოითხოვდნენ დიდ შესწორებას. და აი შევდგით თუ არა ფეხი სამინისტროში, ივნისიდგან დაწყებული, თავი მოუყარეთ ყველა ჩვენ თანამშრომლებს, როგორც თბილისის სახაზინო პალატიდან აგრეთვე ქუთაისის გუბერნიიდან. ჩვენ შევადგინეთ მთელი გეგმა იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს შეცვლა ამ მასტაბისა და ქართულ მაშტაბის გამოგონება რა ყაიდაზე რა მაშტაბით, რა ნორმით უნდა იყოს გამოყენებული ჩვენი შემოსავალი. ხოლო მას შემდეგ, როდესაც გავითვალისწინებთ ამ გეგმას, როდესაც შევისწავლით სტატისტიკურ ცნობებს, ხელთ გვექნება ეს ცნობები, და ეს ხელ კიდევ ადგილობრივ მათ გადავსინჯავთ, აი მაშინ შევძლებთ ამიერ-კავკასიის მაშტაბის, ქართულ მაშტაბად დახურდავებას. ჯერჯერობით ჩვენ უკვე შევადგინეთ 10 კანონ-პროექტი ყოველი დარგის გადასახადების შესახებ, როგორც პირდაპირ, ისე არა პირდაპირის, რომელიც დაახლოვებით უდრის 230 მილიონ მანეთს. ზოგიერთი კანონ-პროექტი უკვე შემოტანილია საფინანსო კომისიაში, ზოგიერთი შეტანილია მთავრობაში, ზოგი კი დღეს არის უწყების მიერ წარდგენილი მთავრობისადმი განსახილველად. სულ შემოტანილია 12 კანონ-პროექტი, რომელნიც მოითხოვდნენ დიდ მუშაობას და შრომას. აქ, რასაკვირველია, მინისტრის მუშაობა არაფერია. აქ უნდა ვალიაროთ ის გულწრფელობა, ხალისი და სიყვარული ჩვენ სახელმწიფოსადმი, რომელსაც იჩენდნენ ჩვენი თანამშრომლები ამ დიდ და მართლაც საპასუხისმგებლო მუშაობის დროს. უნდა ვალიაროთ მაშასადამე, რომ ერთგვარი ენერგია ჩვენს სამინისტროშიაც ყოფილა.

მართალია, ბ. ასათიანმა ეს არ აღნიშნა არ უნდოდა დაენახა, მაგრამ მე მინდა ვიფიქრო, რომ მან ეს არ დაინახა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არ იცოდა.

ხარჯის შესახებ, როდესაც ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, ერთი რამ, — ჩვენ არ შეგვიძლიან დავფაროთ ტიპიური ხარჯები იმ დროს, როდესაც ტიპიური შემოსავალი მეტად მცირეა. და საიდან შეუძლიან გასწიოს ეს ხარჯები ამისთანა ახლად დაბადებულ, 4 თვის ნორჩ დაწესებულებას, რომელიც ახლად იდგავს ფეხს? ამ შემოსავალ გასავალში არის ერთნაირი ამპლიტუდა — რომელიც ძალიან საყურადღებოა.

ავიღოთ თუნდაც შემოსავალი რკინის გზაზე. იყო კვირეები, მეტს არ ვიტყვი, რადგანაც 3 თვის მოქმედება გვაქვს — და 3 კვირის განმავლობაში 3 მილიონია მხოლოდ შემოსავალი გასავალი კი — 6 მილიონი. დადგა ჟამი და ჩვენ გვქონდა მილიონ ნახევარი შემოსავალია და 10 მილიონი თვიური გასავალი.

რანაირ ბიუჯეტს დაემყარებით, როდესაც რამდენიმე კვირის განმავლობაში ისატება საშინელი ე. ი. სრულიად ბუნებრივი, სრულიად კანონიერი მოვლენა. რადგანაც ნუ გავიწყდება ბატონებო, სულ სწრაფნი ნუ ვართ. მართალია ბევრი ვიგრძენით, როდესაც ვამყარებდით სახელმწიფოს და ეხლა უნდა ვიცოდეთ, ბევრი ენერგია და მუშაობა დაგვჭირდება, მაგრამ მაინც 3—4 თვის განმავლობაში თქვენ ვერ შეიძენთ ისეთ ცნობას რომელიც საშუალებას გაძლევდეთ თქვათ: — ეს არის შემოსავალი და ეს არის გასავალი. აიღეთ მაგალითად სადამოუნო. პირველ ხანებში, როდესაც მას ვაწესებდით, ჩვენ სასოწარკვეთილებას მივეცით. რადგანაც დიდი იმედი გვქონდა, რომ საბაჟო

მოგვცემდა იმდენ შემოსავალს, როგორც ფინლიანდია, რომელიც ჯერ ისევ რუსეთის ფარგლებში სადაზოფნოდან ღებულობდა მთელ თვის შემოსავალის 40%. ჩვენ კი პირველ კვირას ისეთი მცირე შემოსავალი გვქონდა რომ პირდაპირ სასოწარკვეთილებას მივეცით. მაგრამ ეხლა თვეში 2 მილიონ მანეთზე მეტი შემოგვდის. რასაკვირველია ეს ოკანასკნელი სიტყვა არ არის საბაჟოებისა. და სხვათა შორის ეს იმიტომაც, რომ თუმცა საბაჟო მოხელები წაიყვანენ, მაგრამ ის ღობე რომელიც უნდა შემოვევლოს სახელმწიფოს, ჯერ შემოვლებული არა აქვს. სადარაჯო რაზმი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი, ჯერაც არ არის შედგენილი, თუმცა ბატონ ასათიანს შეუძლიან სთქვას, რომ, როგორ არა რცხვენია ფინანსთა მინისტრს, რომ არ ჰყავს სადარაჯო რაზმი, ალბად კრინტი არ დაუძრავს, რომ пограничная стража მოეწყოს, თორემ სადარაჯო რაზმი გაჩნდებოდაო, მაგრამ თუ ეს ცოდვა არის, ეს ცოდვაა საერთო, საზოგადო ცოდვაა თქვენი და ჩვენი მთავრობისა და არა ნაკლულევანობა ჩემი უწყებისა.

ამ რაზმის გამგებლობა, რადგან ჯერ ჯერობით ომიანობის ხანაში ვართ, მე არ მეკუთვნის ჩემ ხელქვეით არ არის. ეკუთვნის მას, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ამნაირ დროში როდესაც რაზმს შევადგენთ და სახელმწიფოს ღობეს შემოავლებთ,—ჩვენ სახელმწიფოს ექმნება შემოსავალი, მცირეს მოგახსენებთ, ის 12 კანონ-პროექტი რომელიც შემუშავებულია, სტატისტიკურ ცნობების მიხედვით ძალიან ფთხილად რომ გადავდათ ნაბიჯები—230 მან. გვიქადის შემოსავალს.

აი, ის პატარა ძალა, პატარა სამუშაო, რომლის, გაკეთება ძლივს მოვასწარით.

ჩემს ადგილს, რომ ნამდვილი მინისტრი ყოფილიყო და არ პატარა მუნიციპალური მოლვაწე, პატარა ღონის მოლვაწე, რასაკვირველია ის მეტს გააკეთებდა და ალბათ იმასაც, რასაც ბ. ასათიანი მოითხოვს. პირველ შემოსვლისთანავე მე ვამბობდი: იშოვეთ ნამდვილი კაცი, ნამდვილი მინისტრი რადგან ჩემისთანა პატარა კაცი ლელოს ვერ გაიტანს მეთქი, მაგრამ საუბედუროდ არვინ გამიგონა, ყური არ დამიგდეს და ეხლა ალბად, ბატონ ასათიანის სიტყვა ერთ რამეს მაინც გვასწავლის, რომ ნამდვილ მინისტრის პოვნა არც ასე ძნელი საქმე ყოფილა.

ბატონმა ასათიანმა თუმცა რამდენიმე შოლტი გამოგვაწნა, მაგრამ იგი თავის ლმობიერებას არ სთმობდა და როდესაც საყვედურს იტყოდა, თან ბოდიშსაც დააყოლებდა. მთავარი სგყვედური მიმართული იყო საფინანსო უწყებისადმი, თუმცა რამდენიმე შოლტი სამრეწველო უწყებასაც გადმოაწნა. მაგრამ რაკი ბოდიშები სჭარბობდა, მე რუსები რომ იტყვიან ალარ შევესპორები.

მაგრამ ერთი პატარა რამე ჩვენც მოვახერხეთ. სულ პირველად ვიფიქრეთ, რადგან ჩვენი სახელმწიფო პატარა ქვეყანა არის მადნეულების ქვეყანა, აქედანაც უნდა ვისარგებლოთ. მე მთავრობას გამოვართვი ნებართვა, რომ მადნეულობის საქმისთვის გამოვიყენოთ, გამოცდილი თუმცა ახალგაზრდა, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ახალგაზდაა ენერგიულად შეეხება ამ საქმეს, ეს გახლავთ ჩემი ამხანაგი ბ. ნიკოლაძე, და მე ეხლაც ვფიქრობ, რომ მის შემდეგ, რაც მას ჩაბარდა ეს საქმე—ეს პასუხისმგებელი საქმე, სწორედ კაი ხელში არის ჩავარდნილი ნუ გაიფიქრებთ რომ ის თეორეტიულად არის გაცნობილი ამ საქმეს-

თან, ის პრაქტიკულადაც იცნობს მას. მუშაობა მან ჯერ პატარა საქმეზე დაიწყო და ეხლა აქ მუშაობს. მაშასადამე კარგი დარაჯი დაუყენეთ ამ საქმეს. რაც შეეხება სხვა დარგებს ვაჭრობა მრეწველობისა—არ ვიცი რომელ სახელმწიფოს შეუძლიან უთხრას საქართველოს, რომ მე შენზე მეტი ამაში შევძელიო.

მე პირდაპირ ამაყად შემიძლია ვსთქვა, რომ ეხლა ამ მხრივ, ისინი სავაჭრო და სამრეწველო დარგებში არარაობას წარმოადგენენ. ეხლა ისინი ამბობენ: თუ ომის დროს ვახერხებთ ფრონტის გაძღოლას, ესეც დიდი და მნიშვნელოვანი საქმეაო. მაშასადამე, რომელი ფურია, რომ საქართველო დასწიხლოს, რომ მასზე მეტს იწველიდეს. ბატონი ასათიანი ბრძანებდა, რომ ჩვენ უნდა აგვეყვავებინა მრეწველობა, რომელიც საქართველოში ოდნავ ფეხს იკიდებს. მართლა დიდი აზრისა ყოფილა ბ. ასათიანი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრზე. თუ ჰგონია, რომ ამ მხრივ მას რამე შეეძლო. მე მადლობას მოვახსენებ ბატონ ასათიანს, რადგანაც არ დავიწყებია ჩვენი ძველი პარტიული ამხანაგობა, და ჩემზე დიდ იმედებს ამყარებს, მაგრამ მე ბოდიშს მოვიხდი. ნურას უკაცრავად, რომ მე არც მთავრობისთვის და არც პარლამენტისთვის არ მიმიცია ისეთი იმედები, რომ შემექნა საქართველოსთვის ამ ოთხ თვის განმავლობაში ის, რაც საქართველოს არ ჰქონია.

მაგრამ ერთი რამ კი ჩავიდინეთ ამ პატარა კაცებმა. სრული სიმართლე წარმოსთქვა ბატონმა ასათიანმა, საღი აზრია, რომ ეხლა დიდი სახელმწიფოც და პატარა სახელმწიფო იმ აზრს ადგია, რომ, რადგან ეხლა ომიანობაა, უნდა შესძლონ თავი იმით დაიკმაყოფილონ, რაც თვითონ შეუძლიანთ.

ჩვენ, მართალია დახურვაც გვაკლია, ჭამაც გვაკლია, მაგრამ თვით ერმა მოახერხა ის, რაც მინისტრმა ვერ მოახერხა. სურსათის მიწოდების მხრივ ჩვენი სტატისტიკური ცნობები ასეთია: იმოდენა თესლეულობა არის დათესილი, ყანები ისეა მოსული, რომ სამემრისოდ ჩვენ იმედი გვაქვს ძალიან ცოტა დაგვჭირდება გარედან შემოსატანი. რაც შეეხება ჩაცმა-დახურვას, მართალია ჩვენ არც თეთრეულობა, არც შალეულობა გვაქვს, რადგან ადგილობრივ მანქანები არა გვაქვს, და საზღვარ გარეთიდან არ მოდის, ჩვენი ერი რუსულ ფარაჯებს იცვამს და ისე დადის. ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ეხლა უნდა შეეცადოთ, რომ სათანადო სტატისტიკურ ცნობების და გვარად მოეწყოს მრეწველობა, რომ გავაჩაღოთ საქმე, თუნდაც ისეთ საშინაო მრეწველობის სახით, როგორიც შესაძლებელია. ამისათვის ჩვენ მოლაპარაკება გავმართეთ ავსტრია-გერმანიასთან. მოლაპარაკება გვაქვს კერძო პირებთან და არა ოფიციალურ წრეებთან, რომლებიც გვპირდებიან მანქანებს. მაგრამ აქ შევეტაკეთ დიდ უბედურებას, რომელსაც რუსეთის მრეწველობაშიაც ჰქონდა ხოლმე ადგილი, მრეწველები აცხადებენ, რომ თუ სახელმწიფო მოგვცემს სუბსიდიას, მაშინ დავიწყებთ მუშაობასო. რა დარგშიც კი არ დავისახეთ ეს მუშაობა, რა ფარგლებშიაც არ დავიწყეთ ეს საქმე—გვეუბნებოდნენ 4—5 მილიონი მოგვეციოთ. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბოლოს და ბოლოს ყველაფერი დამოკიდებელია იმ პატარა საბეჭდავ მანქანაზე, რომელიც, შტაბის ქუჩაზე ბეჭდავს ბონებს. თუმცა ვიცით რომ დიდი აჟიოტაჟი არის, დიდი სპეკულიაცია ხდება და სპეკულაციას ატრიალებენ ზოგიერთი ისეთი პირები, რომელთაც ეს არ ეკადრებათ. და როდესაც საქმე მივა მრეწველობის

დაწყებაზე მიდიან სამინისტროში და ყოველმხრივ დახმარებას თხოულობენ. ჩვენ, რომ 4—5 მილიონი ვარიგოთ ასეთ საქმეებზე, ეს პატარა ფულია, მაგრამ ეხლა ჩვენ გვაქვს საქმე არა პატარა ფულთან არამედ ტეხნიკასთან, რომლითაც ვბეჭდავთ. და ამ მხრივ კი არამცთუ საქართველომ, არამედ ამიერ-კავკასია, რომ იყო, მეტის ბეჭდვა იმანაც ვერ შესძლო. იმ მანქანებით, რომელიც ხელთა აქვს ჩვენს მთავრობას— მეტის გაკეთება არ შეუძლიან. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენი უწყება, ვაჭრობა მრეწველობის უწყება, ვერ ახერხებს საქმის დროზე მოწყობას და მისი განხორციელება ფერხდება იმით, რომ თვითოული მათგანი ითხოვს ფულს,—მოგვეცით ფული და საქმეს ჩვენ მოვახერხებთო.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის მდგომარეობაც, რომ ყოველად შეუძლებელია ვაჭრობა მრეწველობა ნორმალურ მდგომარეობაში ჩადგეს იმ სახელწიფოში, რომელსაც არა აქვს თავისი ზღვაოსნობა. ამ მხრივ ჩვენ უკვე გადავდგით სათანადო ნაბიჯები და სხვა და სხვა აქციონერულ საზოგადოებათაგან მოვიპოვეთ 60 ცალი სხვა და სხვა ნავებისა, როგორც ორთქლ მავალის ისე უბრალოსი, რომელნიც ამ მხრივ უზრუნველყოფენ ჩვენ ვაჭრობა-მრეწველობას.

ერთის სიტყვით, თქვენ ხედავთ, რომ ფუმცა ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც რაღაც გაკეთებულა. და ის, რაც გაკეთებულია, მე შემიძლიან ვსთქვა, ეს არ არის ჩემი ხელიდან გამოსული, არამედ ეს არის გაკეთებული ჩვენი თანამშრომლების მიერ, რომელნიც მუშაობდნენ ამ საქმეში. ის ცოტა, რაც არის გაკეთებულ, ამაყად შემიძლია ვსთქვა- რომ ისიც საკმარისია იმის �ის, რომ პარლამენტის წევრი ბ. ასათიანი გამოსულიყო არა მარტო წინააღმდეგ იმ უწყებისა, რომელსაც მე წარმოვადგენ, არამედ ხაზი გ ესვა იმ ცოტაოდენ კარგისათვისაც, რის გაკეთებაც ჩვენ შევძელით. მაგრამ ბ. ასათიანმა კარგი არაფერი დაიდანახა ჩემ უწყებაში. და კიდევ მეტი—მიაწერა მას ათასნაირი ცოდვები. ჩემთვის, რომ ეკითხა, მე უფრო მეტს ცოდვებს დაუსახელებდი, ვეტყოდი რა ცოდვები აქვს ჩადენილი ჩვენს უწყებას. მან ისეც კი არ რცხარა, და უფრო დასაჯა ეს უწყება,—აიღო და სხვისი ცოდვები მე მომახვია. მან სთქვა,—რატომ საპროფესიო სკოლები არ გვაქვს გახსნილიო. ეს არ უნდა ეთქვა, რადგანაც მან, როგორც პარლამენტის წევრმა, კარგად იცოდა, რომ ყველა სასწავლებლების კონცენტრაცია ხდება განათლების სამინისტროში. თუმცა ამ მხრივ უნდა განვაცხადოთ, რომ საპროფესიო სკოლების გახსნასაც არა ნაკლები ყურადღება მივაქციეთ. მაგალითად ფოთში ჩვენ უკვე გავხსენით სანავთსნო სკოლა, როგორც იმტყვიან явочнымъ порядкомъ междувѣдомственное совѣщаніе-ც არ მოგვიხდენია, ვინაიდან სკოლები საერთოდ განათლების სამინისტროს იყრის თავს. ჩვენც მის სკოლა გავხსენით, მოდი და თქვენ უპატრონეთო. იქნება ვცდებოდეთ, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს კონცენტრაცია სკოლებისა არ არის უვარგისი. მას ბევრი კარგი მხარეებიც აქვს. იმ შემთხვევაში, როცა დასჭირდება სპეციალური დახმარება, ჩვენ, რასაკვირველია, თანბირი გვექნება და თანხასაც გათავდება. მაგრამ, სხვის ცოდვებს, ბოდიშიც რომ მოიხადონ, უკაცრავად, ჩემ ცოდვებად ვერ ჩავთვლი.

ამნაირად, იმის თქმა, რომ მიწათ მოქმედების სამინისტროში არის ესა თუ ის სკოლები და რატომ ისინი შენ არ გადაიტანეო — ზედმეტია. შეიძლება მე ბევრ რამის გადმოტანაც მსურდეს, მაგრამ თუ მე მინდა გადმოტანა ჩემს უწყებაშ—ისხვასაც უნდა, რომ თავის უწყებაში დაირჩინოს. მაგრამ ჩვენ სოლიდარული სამინისტრო გახლავართ, ჩვენ ამაზე არ ვცდილობთ, ჩვენ ვცდილობთ მდგომარეობა დავაფასოთ და საქმეს ჯერ ჯერობით ასე ვტოვებთ, თუმცა არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისე არ გადასწყდეს საკითხი, რომელიც ეხება ჩემს სამინისტროს, როგორც მე მინდა. როგორც არ ხდება ისეთი შემთხვევებიც, რომ როდესაც სწყდება სამხედრო სამინისტროს მიერ აღძრული საკითხი. მე აარ დამეკითხონ. მე არ მახსოვს ასეთი შემთხვევები. თუ ეს ასეა, რად გინდათ, რომ ერთმანეთს დავეტაკნეთ; იქნება ვისმეს გაუხარდეს, უწყებათა შორის უთანხმოება მაგრამ ბ. ასათიანს, ვიცი მისი მისწრაფება, თავის დღეში ეს არ გაახარებს. უნდა იცოდეთ, რომ როდესაც ჩვენ წინასწარ საქმეს ვაკეთებთ, ვიშორეთ ზედ მეტ აბრას, რომელიც ბუნებრივად თავზე გვაწევს. და ხდება იმის ლიკვიდაცია, რაც ამიერკავკასიის და რუსეთის მაშტაბით იყო შექმნილი'

აი, მაშინ როცა რჩამოყალიბდება ნამდვილი სამინისტროები და თუ მაშინრაიმე შეცდომას შეხვდებით, —მაშინ, რასაკვირველია, დიდი საყვედურით შეგიძლიანთ მოგვმართოთ. მაგრამ ერთ საყვედურს რომელიც აქ წარმოსთქვა ბ. ასათიანმა ჩემის აზრით კი აქვს ფასი.

მოგახსენებთ, ტყიბულის შავი ქვის საქმეზედ. იგი ჯერ იყო მიმწოდებელ კომიტეტის ხელში და ჩვენ ვიძახდით, რომ არ შეეფერება არ შეიძლება იყოს ეს საქმე იმ უწყებაში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მასთან, ამით აიხსნებ ის გარემოება, რომ როდესაც მიაწოდებდენ რკინის გზას ნახშირს,—ყოველთვის იყო რაღაც უსიამოვნება და დიდი წუნი: ან ნაკლები იყო წონით რაოდენობით, ან არ შეეფერებოდა ამ მოთხოვნილებას, რომელიც რკინის გზას ჰქონდა. მაშინ გადაწყვეტილი იყო, რომ საზოგადოთ ტყიბულის შავი ქვის წარმოება უფრო სათანადოა, რომ იყოს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ხელში. მაგრამ აი, ამ დროს იწყება მუშათა ცნობილი სრულიად უნიადაგო გაფიცვა, როგოც ეს შემდეგ დავინახეთ, და როგორც გამოარკვიეს სხვა და სხვა სამინისტროების მიერ გაგზავნილმა პირებმა. ამ რიგად მოისპო ის მართლა ყოვლად უნიადაგო კონფლიკტი, რომელთაც გამოიწვიეს გაფიცვა, და რომელნიც იყვნენ შეთხზულნი და ძლიერ შეაფერხებს ამ შავი ქვის მრეწველობის განვითარებას. მაგრამ აი, აქ სწორედ ვიფიქრე:—მართალია ეს ჩვენ უწყებას ეკუთვნის, მაგრამ ვინაიდან აქ ერთგვარი... (გაბაშვილი: «სჯობს თავიდან მოვიშორო») მართალია, ეს ჩემ უწყებას ეკუთვნის, მაგრამ, რადგანაც ნავთის უქონლობის გამო ერთად ერთი საშუალება რკინის გზისთვის იყო ტყიბულის ნახშირი—ამიტომ ჩვენ ვთქვით,—დეე, ამ უწყებას, რომელსაც მოაქვს ნახშირი თავიანთ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, და რომელსაც აქვს უკვე აპარატი, როგორც სათანადო ინჟინერების სახით, ისე მიმღები აპარატიც, დეე ამ სამინისტრომ აწარმოვოს ეს საქმე, ვინაიდან სხვა ახალი აპარატის შექმნა ამ სამინისტროს შეუფერხებდა საქმის წარმოებას.

ვერ წარმოიდგენთ, რა საუცხოვო შედეგი მოჰყვა ამას: ამის შემ-

დეგ აღარ გვესმის არც საყვედური, არც სამდურავი, ძალიან ცუდი, ან ძალიან ცოტა ნახშირი მოვიდაო. ეს ბუნებრივი მოვლენაა, ჩემო ბატონო.

მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში, მე მოვიქეცი კარგათ, როდესაც მაინც და მაინც უწყებრივი პარტიოტიზმი არ გამოვიჩინე, და დაუთმე ჩემს ამხანაგს ბ. ლორთქიფანიძეს, რადგანაც იგი ყველაზე უფრო დაინტერესებული იყო ამ საქმით, და სურდა, რომ მას მიეღო ის აპარატი, რომელიც მას ხელთ ჰქონდა. არ დაუშალეთ და დროებით მივეცით მას ეს საქმე. მე მგონია აქ სასიქადულო არა არის რა. ცნობისთვის მოგახსენებთ, საქმიანობა გვიკარნახებდა ამ საქმის ასე გადაწყვეტას.

მე არ გამოუდგები კიდეგ სხვა ბრალდებას, რომელიც აქ იყო წამოყენებული. არ ვიცი, დამავიწყდა ზოგიერთი რამ თუ არა, რადგანაც ასე ანაზდეულად მოხდა ამ საგანზე ლაპარაკი, მაგრამ ვიტყვი კი, რომ რაც შეეხება ხამ საქონლის, გატანას ვითომ რაღაც ზიანი მოგვივიდა—თითონ ბ. ასათიანი ბრძანდებოდა წევრად იმ კომიტეტისა, რომელიც ბ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მუშაობდა. მერე, როდესაც ის წავიდა, ჩემზე გადმოვიდა ხელმძღვანელობა ამ კომიტეტისა და მე გაფაციცებით უყურებდით, რომ ნაკლები ნედლი მასალა გასულიყო და ამ მიზეზით ფორმალურ წესებსაც ვაწესებდით, რადგანაც უკმაყოფილება დაბადა ყოველ კუთხეში. ზოგიერთებმა საყვედური გვითხრეს, რომ საქართველოდან მრავალი საქონელი გაქონდად და ჩვენ კი ეხლა არ გვაძლევენ ამის ნებასო.

ჩვენ ვცდილობთ რომ რაც შეიძლება მეტად ნედლი მასალა დავამუშაოთ, რომ უცხო ქვეყნის დამზადებული ფაბრიკატები არ მოგვეტანა და მეტ წილად ჩვენი მასალით გვესარგებლა.

აი, ბატონებო, ის ცნობები და არა თავის გამართლება იმის შემდეგ, რაც ბ. ასათიანმა, არ ვიცი საყვედურის კილონით, თუ რჩევის კილოთი, წარმოსთქვა აქ თავის სიტყვაში. (ტაში)

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ. ასათიანს.

ალ. ასათიანი. (ერ.დემ.) ბატონებო. რამდენიმე კომპლიმენტის თქმა მეც შემეძლო ფინანსთა მინისტრის მიმართ, მაგრამ ჩვენ ამ საპატიქროთ არ მოვსულვართ.

მე აღვიშნე მხოლოდ ის, რაც მოითხოვს მეტს ყურადღებას ფინანსთა უწყებისას და აგრეთვე შესწორებას. (ხმა: ისე სთქვით, რომ კაცმა გაიგოს) დიახ! მგონია, რომ საკმაოდ ადვილი გასაგებია.

რასაკვირველია, ვერ უსაყვსდურებ ფინანსთა უწყებას, რომ ის არ ეომება სხვა და სხვა უწყებებს დაწესებულებათა მითვისებასა და თავის უწყებაში დატოვების შესახებ, მაგრამ, რადგანაც სამრეწველო სამინისტრო სისტემატიურად იკლებს იმ საქმეს, რომელიც პირდაპირ მის დანიშნულებას შეადგენს, აი მაგალითად მას ჩამოშორდა საპროფესიო სწავლა-განათლების სკოლები, რომლებსაც მახლობელი დამოკიდებულება აქვთ მრეწველობასთან და ხელოსნობასთან, რომელიც მის უწყებაში უნდა დარჩენილიყო, გადადის სხვა უწყებაში.

ტყიბულის საქმე ბ. მინისტრის სიტყვით, უნდა ყოფილიყო მის უწყებაში, მაგრამ სხვა უწყებაში გადავიდა იმ მიზეზით, რომ ნახშირს, როდესაც ის მის უწყებაში იყო იწუნებდნენ და ეხლა არ დაიწუნებენ, რადგანაც ეს საქმე მის ხელში იქნებაო. მე მგონია, რომ ეს საბუთად

არ უნდა მოეყვანა, ეს საბუთად არ გამოდგება. იქნებ სხვა და სხვა უწყებაში უკმაყოფილონი იყვნენ, რომ ბ. ფინანსთა მინისტრ მათ ფულს გვიან აწვდის, ან ცოტას, ან და იწუნებენ მის ბონებს, მაგრამ ეს კიდევ არ არის საბუთი, რომ ყველა უწყებებმა, თავიანთვის დაირიგონ ის მანქანები, რომელითაც ფული იბეჭდება და თითონ გამართონ ბონების ბეჭდა. ჩვენ ვიფიქრებთ, რომ მრეწველობის საქმე ტყვიბულის საქმე, საპროფესიო განათლების საქმე არ უნდა ყოფილიყო სხვა უწყებაში, როდესაც ეს არის ფინანსთა უწყების საქმე და სხვა უწყებანი არ უნდა შებრძოლებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ ალბად ბრძოლაც არ ყოფილა საჭირო. ფინანსთა მინისტრს თვისი აზრი, თავისი უფლება უნდა გაეცნო ამხანაგებისთვის. რაც ხეეხება მრეწველობის აღმოცენებას, მე აზრადაც არ მომსვლია მესაყვედურებინა ფინანსთა მინისტრისათვის. რასაკვირველია მას ჩვენ ვერ მოვთხოვდით საუცხოვო მრეწველობის უცბად შექმნას. მაგრამ რაც შესაძლო იყო ის უნდა მოეწყო და რაც გვაქვს ის უნდა გამოეყენებინა.

აქ ბრძანებს ბატონი მინისტრი მე მინდოდა საქსოვი საქმე მოეწყო, მოვიწვიე მრეწველები, მაგრამ ზოგმა 2-3 და ზოგმაც 4-5 მილიონი მოითხოვესო. მე წინააღმდეგი არაფერი მაქვს ამისა, მაგრამ ის რაც მე აღვნიშნე, ის უყურადღებოდ დასტოვა. მე ვთქვი, რომ არსებობს შინ. მრეწველობის კომიტეტი. ეს მთავრობის დაწესებულებაა, რომელსაც საშუალება ჰქონდა ეს საქმე განევითარებინა. რასაკვირველია, ეს დიდი სამრეწველო საქმე არ იქნებოდა, მაგრამ წლიურად მილიონ არშინამდე შალის და ბამბის ქსოველების გაკეთება შეეძლო აგრეთვე უბრალო აბრეშუმებისა. ეს იქნებოდა მინუშები, რომელიც შეეძლო ამ კომიტეტს გაეკეთებინა და არავითარ მილიონებს არ მოითხოვდა ეს საქმე. ამ კომიტეტს შეეძლო ნამდვილ მრეწველობის შექმნა. აქ არავის ერთ თუ ორი მილიონი არ მოუთხოვნია. ბატონ მინისტრს მოსთხოვეს მხოლოდ მასალა და კომიტეტი კი ვერ უზრუნველ ჰყვეს ამ მასალით. ამიტომ ეს ფაბრიკები ვერ მუშაობენ სათანადოდ. და აი მე მართლადაც ვსთქვი, რომ უნდა დიდი ყურადღება მიექცეს ამ საქმეს.

მე ისეთი დიდი იმედები არ დამიმყარებია ამ უწყებაზე და ისეთი საყვედურიც არ მითქვამს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ფინანსთა უწყება ასე თუ ისე მუშაობს და ვითომ ასათიანი კი არ დაუკვირდა და არ აღნიშნაო, ეს არ არის ნამდვილი.

მე ვთქვი, რომ დღეს ასეთ მუშაობას აწარმოებს უწყება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. მეტი ენერგიას და მეტ მუშაობას უნდა ვხედავდეთ — ამ სამინისტროში, რომელზედაც დამყარებული არის ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრების დანარჩენი საქმეები.

რასაკვირველია ფინანსთა უწყების მდგომარეობა მე არ შემიდარებია იმ მაგალითთან, რომელიც მან მოიყვანა ვაშინგტონის შესახებ. უნდა ვსთქვათ, რომ არ დამდგარა ის დრო, და უნდა ვცდილობდეთ, რომ არც დადგეს ისეთი დრო, რომ ერთი ურემი თივა ერთ ურემ ოქროდ ღირდეს. მართალია ჩვენ ჯერ ამ მდგომარეობამდის არ მივსულვართ, მაგრამ მაინც ძალიან შორს წავედით ჩვენ მგონია' რომ დროა ფინანსთა მინისტრმა რაც შეიძლება მალე დაუკლოს თავის მეერმეტყველურ ოპტიმიზმს მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ და თითქმის გადავლახეთ ის. მდგომარეობა, რა მდგომარეობაშიც იყო

საფრანგეთის საფინანსო უწყება, როდესაც წყვილი ჩექმები ღირდა 6 ათასი ფრანკი. ჩვენ ამის მიხედვით არანაკლებ მდგომარეობაში ვართ და, ასეთ ოპტიმისტურ თვალსაზრისით ჩვენ ფინანსიურ მდგომარეობას არ უნდა უყურებდეთ.

თუ განსაკუთრებულ მხნეობის და ენერგიას არ გამოიჩენს მთავრობა და ფინანსთა უწყება, ჩვენ კატასტროფას მიუახლოვდებით და მე სწორედ მაკვირვებს, რომ ასეთი მეჭერმეტყველურ ოპტიმიზმით ლაპარაკობს აქ ფინანსთა მინისტრი.

თავმჯდომარე. წინადადებაა შემოსული, რომ გადაიდოს კრება. (ხმები. გავათაოდ, გადიდოს) კენჭს უყრი. ვინ არის მომხრე, რომ კრება გადიდოს უმცარესობა. მაშასადამე კრება გრძელდება. სიტყვა ეკუთნის მომხსენებელს.

მომხსენებელი. მე არაფელს არ ვილაპარაკებ რადგანაც შესახებ მოხსენებისა არაფერი არ იყო ნათქვამი.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი, რომ მუხლობრივ განხილვაზე გადავიდეთ. მხოლოდ, ვინაიდან თვით პირველ მუხლის დასამტკიცებლად საჭიროა განხილულ იქმნას თვით შტატები. ამიტომ, სანამ მუხლს მივიღებთ გთხოვ წაიკითხოთ შტატები.

მომხსენებელი. (კითხულობს).

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის—ცენტრალურ დაწესებულებათა შტატები.

მინისტრი—ერთი-წლიური ჯამაგირი—18000 მან.

მინისტრის ამხანაგი—ორი. წლიური ჯამაგირი—16200 მან.; ორივეს—32400 მან.

კანცელარიის დირექტორი—ერთი. წლიური ჯამაგირი—12000 მ.; 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ერგება 7000 მან.

ვიცე დირექტორი ორი. წლიურათ თვითეულს—10800 მან. ორივეს—21600 მან. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე—12600 მან.

მდივანი მინისტრისა—ერთი. წლიურად 7800 მან. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე—4550 მან.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინაგღმდეგი? არავინ. მიღებული გახლავთ გთხოვთ წაიკითხოთ შემდეგი.

მომხსენებელი. (კითხულობს.)

საბიუჯეტო და სახაზინო განყოფილება.

განყოფილების უფროსი ერთი. წლიური ჯამაგირი—10200 მან. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე—5950 მან.

გამგეები მცირე განყოფილებისა ორი. წლიური ჯამაგირი—9000 მან. თვითეულს. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ორივეს—10500 მან.

ბულჰალტერი—ორი. წლიური ჯამაგირი თვითეულს—7800 მ. 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ორივეს—9100 მ.

ბუღალტრის უფროსი თანაშემწენი შვიდი. წლიურად თვითეულს 6300 მ. წლის დამლევამდე ყველას 35795 მ.

ბუღალტერის უმცრ. თანაშემწენი სამი. წლიურათ თვითეულს 5700 მ. წლის დამლევამდე ყველას 9975 მ.

დ ა მ ა ტ ე ბ ა ნ ი:

იურიდიული რჩევისათვის ერთი. წლიური ჯამაგირი 12000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 7000 მ.

სახელმწიფო ბანკის თბილისის კონტორის კომისარი ერთი. წლიური ჯამაგირი 10200. ივლისიდან წლის დამლევამდე 5950 მ.

სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილების კომისარი ერთი. წლიური ჯამაგირი 5400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 5950 მ.

საკანცელარიო წლიური ჯამაგირი 24000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 14000 მ.

სასტამბო წლიურად 18000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 10500 მ.

ბინის დაქირავება წლიურად 19200 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 11200 მ.

სამეურნეო ხარჯები—გათბობა განათებითურთ წლიურად 36000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 21000 მ.

ინვენტარის შეძენა წლიურად 6000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 3500 მ.

საგზაო ხარჯები წლიურად 18000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 10500 მ.

მინისტრის განკარგულებაში მოულოდნელ ხარჯებისათვის წლიურად 24000 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 14000 მ.

ჯამი წლიურად 172800 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 100800 მ.

სულ წლიურად 734400 მ. ივლისიდან წლის დამლევამდე 428400 მ.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. მაშასადამე ესეც მიღებული გახავთ. (**მომხსენებელი** შტატები გათავდა) დიახ, ეს შტატები გათავებულია. რაკი ცვლილება არ არის გადავიდეთ დებულებაზე.

მომხსენებელი (კითხულობს)

კანონ-პროექტი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა შტატების.

1. დამტკიცებული და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალ დაწესებულებათა შტატები.

თავმჯდომარე. ვის ჰსურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? წინააღმდეგი არავინ გახლავთ, პირველი მუხლი მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მე-2-ე მუხლი.

მოხსენებელი. (კითხულობს).

2. გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატებისათვის 734400 მან.

შემდეგი განაწილებით: 1) მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის 327600 მან. 2) იურიდიული რჩევისათვის — 7000 მან. 3) სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის კომისარისათვის 5950 მან. 4) სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილების კომისარისათვის 3150 მან. 4) საკანცელარიო ხარჯებისათვის 14000 მან. 6) სასტამბო—10500 მან. 7) ბი-

ნისათვის 11200 მან. 8) გათბობა, განათება, და სხვა სამეურნეო ხარ-
ჯებისათვის 21000 მან. 9) ინვენტარის შესაძენად, 3500 მან. 10) საგ-
ზაო ხარჯებისათვის 10500 მან. 11) მინისტრის განკარგულებაში მოუ-
ლოდნელ ხარჯებისათვის 14000 მან.

თავმჯდომარე. ვინ არის წინააღმდეგი ამ მუხლისა, მეორე მუხ
ლიც მიღებულია. კენჭს ეყრი საერთოდ კანონ-პროექტს. ვინ არ
წინააღმდეგი? კანონ-პროექტი მიღებულია და გადაეცემა სარედაქ-
კომისიას. ეხლა კრება დახურულია.

კრება იხურება 4 საათსა და 15 წუთზე.